სპორტული

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 24 ივლისი 2003 №136 (1907) | ფასი 50 თეთრი



0:3

— ჩვენ გავიტანთ სწრაფ გოლს, „დინამოს“ დავამარცხებთ და შემდეგ ეტაპზე ვითამაშებთ — მატჩამდე ორი დღით ადრე ამ სიტყვების მთქმელი „ტირანას“ მწვრთნელი სულეიმან მემა თავად ალბანელებმა მასსრულად აიგდეს, მემა ცაში დაფრინავს, ემანდ „დინამომ“ აქეთ არ მოგვიგოსო...

გუშინდელ მატჩზე კომენტარი თითქოს ზედმეტია და ბოღმას თუ ამოანთხევს კაცი.

ისე, ქართული კლუბების კარგი თამაში ბოლოს როდის ნახეთ? თუ გახსოვთ, გადასარევი მეხსიერება გქონიათ. და რას ვაკეთებთ ყოველი სამარცხვინოდ წაგებული თამაშის მერე? ბოღმას ვანთხევთ. ცოტა არ იყოს, მოსაბეზრებელიც კია.

გუშინ ღამე რედაქციაში განუწყვეტლივ გვირეკავდნენ, ანგარიში აინტერესებდათ. სიმართლე გითხრათ, ჩვენი პასუხის მერე დიდი ინტერესით ვაკვირდებოდით გულშემატკივართა რეაქციას. ემოციების ამპლიტუდა „ვაიმე, დედადან“, „ვაი, მაგათ პატრონამდე“ მერყეობდა და სულ მთლად გულახდილები რომ ვიყოთ, ბოლო რეაქცია უფრო სჭარბობდა.

თამაში არ გვინახავს, მაგრამ ტირანაში მყოფი ჩვენი კორესპონდენტი გვწერს, ვერ გეტყვით, რა ითამაშა „დინამომ“, ყოველ შემთხვევაში, ფეხბურთი ნაღდად არაო.

სიტყვაზე უნდა ვენდოთ, ანკი რა ნდობა უნდა — გუნდი 3:0 რომ იგებს და მაინც დამარცხდება, ვინ ჭკუათმყოფელი არ ირწმუნებს თვითმხილველის ნათქვამს.

მეტიც, ის ხომ მაინც ნანახი გვაქვს, რამდენი უნაღდესი მომენტი გააფუჭა „ტირანამ“ თბილისურ შეხვედრაში ჰოდა, არანაკლები მომენტი გუშინაც გაუფუჭებია. „დინამოს“ მართლა საგოლე მომენტს კი ჩვენი კორესპონდენტი რატომღაც ვერ იხსენებს.

სამაგიეროდ, იხსენებს დამატებითი დროის მიწურულს ივო შუშაკის ფერდაკარგულ სახეს და თავში წაშენილ ხელს.

სალაპარაკო აღარ არის, მაგრამ მაინც: „დინამოს“ ის ორი პენალტი რომ არ გაეფუჭებინა და საცოდავად გამძვრალიყო მეორე ეტაპზე, ამით რამე შეიცვლებოდა? სირცხვილნაჭამი ხომ ისედაც დარჩებოდა და მეორე ეტაპიდან მაინც გავარდებოდა. პირველიდან თუ მეორიდან, ამას კი რა პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

მოკლედ, ქართული საკლუბო ფეხბურთი ტრადიციას არ ღალატობს.

ჩემპიონთა ლიგა 2003-2004

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი
საპასუხო მატჩი

ტირანა. 23 იულისი. 21 საათი. ძმებულ სტადიონი. 3 000 (ტევადობა 20 000)

ტირანა 3:0 დ.დ.(პენ.4:2, 3:0) დინამო

პირველი მატჩი 0:3

1:0 ლიკი (12), 2:0 ფორტუზი (64), 3:0 ჰალილი (77)

პენალტები: 1:0 პატუში, 1:0 გოგობერიშვილი (ააცილა), 2:0 ლიკი, 2:1 სამხარაძე, 3:1 დედე, 3:2 ხიზანეიშვილი, 4:2 ჰალილი, 4:2 ახალაია (მეკარე)

ტირანა: ვგბო, დედე, ჰაიდარი, ბინარი, სინა (მერკოჩი 82), ე. ბულკუ (ს. ბულკუ 63), პატუში, ლიკი, მუკა, ფორტუზი, ჯაფა (ჰალილი 63)
მწვრთნელი: სულეიმან მემა

დინამო: ზოიძე, ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, ბურდული, გოგობერიშვილი, კვირკველია, ანჩაბაძე (კანდელაკი 24), დარასელია (კარლოსი 63), მელქაძე (სამხარაძე 57), ახალაია
მწვრთნელი: ივო შუშაკი

გაფრთხილება: მელქაძე (35), ახალაია (66)

მსაჯები: ა. კელე; ე ფოლი, ფ. მოლნი; ი. სტოკსი (ყველა ირლანდია)

შეფასა დელეგატი: ა. პერეირა (პორტუგალია)

ჯარიმა: 30-23; **კუთხური:** 4-5; **კარისკენ დარტყმა:** 11-5; **კარში დარტყმა:** 12-2; **თამაშგარე:** 2-2

REUTERS ტირანიდან

ოთარ ხიზანეიშვილს (№25) გაცდენილ ფიოდორ ჯაფას ჯაფა დაუფასდა

ჩემპიონთა ლიგა

CHAMPIONS LEAGUE — პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები — CHAMPIONS LEAGUE

ირტიში (ყაზახეთი) 1:2 *ომონია (კვიპროსი)* (0:0)
კაუნასი (ლიტვა) 4:1 ტორსპავნი (ფარერები) (1:0)
ლეოტარი (ბოსნია) 2:0 გრევენმახერი (ლუქსემბურგი) (0:0)
სპონტო (ლატვია) 3:1 *სლიმა (მალტა)* (0:2)
ფლორა (ესტონეთი) 1:1 *შერიფი (მოლდოვა)* (0:1)
ჰიკ (ფინეთი) 1:0 გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) (0:0)
ბოჰემიანსი (ირლანდია) 3:0 ბატე (ბელარუსი) (0:1)
ბარი თაუნი (უელსი) 2:1 *ვარდარი (მაკედონია)* (0:3)
რეიკიავიკი (ისლანდია) 1:1 *პიუნიკი (სომხეთი)* (0:1)

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა

მტკ (უნგრეთი) — ჰიკ (ფინეთი)
პიუნიკი (სომხეთი) — ცსკა (ბულგარეთი)
კაუნასი (ლიტვა) — სელტიკი (შოტლანდია)
ლეოტარი (ბოსნია) — სლავია (ჩეხეთი)
შერიფი (მოლდოვა) — შახტარი (უკრაინა)
ზილინა (სლოვაკეთი) — მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი)
ბოჰემიანსი (ირლანდია) — რუსენბორგი (ნორვეგია)
მარიბორი (სლოვენია) — დინამო (ხორვატია)
ცსკა (რუსეთი) — ვარდარი (მაკედონია)
რაპიდი (რუმინეთი) — ანდერლეხტი (ბელგია)
პარტიზანი (სერბეთი) — იურგორდენი (შვედეთი)
ვისლა (პოლონეთი) — ომონია (კვიპროსი)
კოპენჰაგენი (დანია) — სლიმა (მალტა)
ტირანა (ალბანეთი) — გრაცერი (ავსტრია)

პირველი მატჩები — 30 იულისს, საპასუხოები 6 აგვისტოს გაიმართება

2003 წლის ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი

UNDER-19 Championship

ნახევარფინალი

პორტუგალია 6:3 დ.დ. (3:3) **ავსტრია**
იტალია 1:0 **ჩეხეთი**

ავსტრია

მასპინძლობა II ტური

ავსტრია	4:0	ბრეგენცი
პაშინგი	1:2	გრაცერი
შტურმი	0:0	კერნტენი
ზალცბურგი	1:2	რაპიდი
ადმირა	1:1	მატერსბურგი

შვედეთი

XV ტური

იორგრიტე 3:1 აიკ

ფინეთი

გადადებული მატჩი

იარო 0:0 ტამპერე

ნორვეგია

თასის 1/8 ფინალი

რუსენბორგი 5:0 ლინი

დინამოს ფეხბურთი დაკარგა

კოტა ინასარიძე

ტირანიდან

მატჩის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე ტირანაში საშინლად ჩამოცხა. თუ ნაშუადღევს თერმომეტრი 45 გრადუსს აჩვენებდა, საღამოსპირისთვის, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ტემპერატურამ 50-ს მიაღწია. აუტანელი სიცხეა, რასაც არანაირი გამაგრილებელი სასმელი არ შველის. 200-300 ალბანელი ქომაგი სტადიონის აღმოსავლეთ ტრიბუნაზე დედიშობილა ჩამომჯდარა და ფეხბურთელების მოედანზე გამოჩენისთანავე „ტირანას“ გამხნევება დაიწყეს. სულ კი „ქემალ სტაფას“ 20 ათასიან ტრიბუნებზე 3 ათასამდე მაყურებელი მოვიდა.

პირველი გაკვირვება: „დინამო“ ნარინჯისფერი მაისურებით თამაშობს. საქმე ისაა, რომ სტუმარ-მასპინძელთა საკლუბო ფერები ერთნაირია — თეთრ-ლურჯი. „ტირანამ“ სათამაშოდ სწორედ ამ ფერის მაისურები ირჩია, „დინამო“ კი, მგონი არსებობის მანძილზე პირველად, ნარინჯისფერია.

„ტირანამ“ მატჩი მოულოდნელად მშვიდად დაიწყო. არაფერი განსაკუთრებული — ალბანელები ბურთის გაკონტროლებას ცდილობენ, მაგრამ ჩვენები ამის საშუალებას არ აძლევენ და შეტევას ამზადებენ. არც სტუმრებს გამოსდით რამე სახეირო. თუმც ერთხელ ახალაიას მარჯვედ რომ დაერტყა, ეგებ გაგვეხარა: მოედნის ცენტრში კვირკველია-გოგობერიშვილ-დარასელიას ორიგინალურ კომბინაციას „ტირანას“ საჯარიმოსკენ ახალაიას მისამართით მწვავე პასი მოჰყვა. ლადო ასწრაფდა, თითქოს ჰაიდარისაც დასწრო, მაგრამ დარტყმა აღარ გამოუვიდა. ბურთი ეგბომ მოიხელთა და მასპინძელთა საგოლე შეტევაც დაიწყო: ალბანელებმა სწრაფად გადაკვეთეს შუა მოედანი, ბურთი ლიკიმ მიიღო, უხიფათო სიტუაციაა, მაგრამ... ლიკიმ საჯარიმოს კუთხესთან, კარისკენ გაიხედა, ბურთი გაისწორა და მოჭრილი დარტყმით ზოიძის კარის შორეულ ცხრიანში ჩასვა — 1:0. ალბანელი ქომაგი კინაღამ შეიშალა, უზომოდ გაიხარეს. „ტირანამ“ საქმე კარგად დაიწყო, სწრაფი გოლით, რისაც თბილისელებს ყველაზე მეტად ეშინოდათ.

„დინამო“ გაშვებულ გოლს არ დაუბნევია. სტუმრები ნელ-ნელა მოედანს, მეტოქესა და საშინელ ხვატს გაუშინაურდნენ და მეტოქის ნახევარზე გადაინაცვლეს. ბურთი ხშირად ტრიალებს „ტირანას“ საჯარიმოში, მაგრამ ჩვენების ყველა დარტყმა უზუსტოა. „ტირანა“ კი არც გატანილი გოლის შემდეგ აჩქარებულა. „დინამომ“ მეტოქე აიძულა, უკან დახეულიყო — მასპინძლები სწრაფი კონტრშეტევებით ეძებენ ხეირს, მაგრამ უშედეგოდ. ერთი-ორჯერ მათ იღბალმაც უმტყუნა: ფორტუზი, შესვენებამდე უდავოდ გამორჩეული, მუკა და ლიკი ძალიან ახლოს იყვნენ მიზანთან — ასპროცენტიანი სახეირო მომენტები გააცუდეს. „დინამოს“ დაცვა ბევრს სცოდავს.

მასპინძლები ანჩაბაძეს რამდენჯერმე ეუხეშნენ, ბოლოს კი ბულკუმ ფეხში ისეთი ჩაარტყა, თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. იგი კანდელაკმა შეცვალა. შუშაკმა მას დარასელიას პოზიციაზე თამაში დაავალა, ვიტალის კი შეტევების ორგანიზება. ამ გადაადგილებებმა „დინამოს“ შუა ხაზს სიმწვავე მოაკლო, რითაც თბილისშიც ყოჩაღად მოთამაშე მუკამ ისარგებლა და პარტნიორებს ზოიძის კარისკენ გაუძღვა. მისი გონივრული პასები ძალიან სახიფათო იყო. იქნებ, სჯობდა, შუშაკს მისთვის პერსონალური მეურვე მიეჩინა.

პირველ ტაიმს ირლანდიელმა არბიტრმა სამი წუთი დაამატა და სწორედ მაშინ ერთხელაც გადარჩა „დინამო“. ფორტუზიმ ორი მეტრიდან დარტყმა ვერ მოახერხა.

შესვენების შემდეგ გუნდებში რაიმე ტაქტიკური გადაადგილება არ მომხდარა. „ტირანას“ იმედი ისევ მუკაა, მოქნილი, სხარტი გამთამაშებელი. რატომღაც ის მოედნის შუაში ბურთის მიღებისას ყოველთვის მარტოა და ხელისშემშლელი არავინ ჰყავს. მარჯვენა ფლანგზე კი სინა აქტიურობს, თუმც ის დინამოელთა შეცდომების ფონზე უფრო ჩანს.

ჩვენები მეორე ტაიმში, პირველისგან განსხვავებით, ბურთის მეტ ხანს გაკონტროლებას ცდილობენ. საჯარიმოსთან მიახლოებას კი ვერ ახერხებენ.

64-ე წუთი: „ტირანამ“ საქმის ნახევარი კი არა, უკვე ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპისკენ გადადგა დიდი ნაბიჯი. ალბანელებმა თბილისში გაშვებული სამი გოლიდან ორი გააბათილეს: მუკამ „დინამოს“ საჯარიმოში გაინავარდა, მარცხნიდან მოედნის პირით ხაზს გაჰყვა და ზოიძის წინ ეულად მყოფ ფორტუზის ისეთი პასი გაუკეთა, მეგოლეს ბურთზე ფეხის დახვედრებაღა დასჭირდა — 2:0. მატჩის დამთავრებამდე ნახევარ საათზე მეტი დარჩა, ალბანელები გულმოცემულნი არიან. მათ მესამე გოლისთვის სტიმული არ აკლიათ.

შუშაკმა სამივე შეცვლა გამოიყენა. ბოლოს კარლოსი შევიდა მოედანზე და მარჯვენა ფლანგი ოდნავ გამოაცოცხლა, მაგრამ...

77-ე წუთი: გაკვირვება მეორე — „დინამო“ ფეხბურთს თამაშობს? ეს არაა ფეხბურთი. რა არის, ვერ გეტყვით. ძალიან ცუდი კია.

სინა ისევ უმეთვალყურეოდ დარჩა მარჯვენა ფლანგზე, საჯარიმოში ჩააწოდა, ზოიძის ცხვირწინ კი ჰალილი იყო მარტო. თავური და 3:0. მატჩის დამთავრებამდე 13 წუთი დარჩა. მიილია კიდევ რვა, დარჩა 5 წუთი. დამატებითი დრო? ყველაფერი აქეთკენ მიდის. „ტირანა“ უკვე ფრთხილობს.

„ქემალ სტაფა“ დადუმდა — ახალაიამ გოლი გაიტანა... თანამსაჯმა ფოლიმ კი ალამი აღმართა — თამაშგარე. ამ გახსენებაზე: ერთი გოლი არც „ტირანას“ ჩაეთვალა — მაშინაც თამაშგარე იყო.

აინთო მეოთხე მსაჯის დაფა: ძირითად დროს სამი წუთი დაემატა. მუკა ჩინებულ პასს აწვდის პინარის, მან სახიფათოდ შეუტია, მაგრამ დარტყმა აღარ გამოუვიდა. იქვე კუთხური „დინამოს“ კართან, ჩვენებმა ბურთი საჯარიმოდან ამოიტანეს... მსაჯის სასტვენი — დამატებითი დრო.

გუნდებმა ამოისუნთქეს, წყალი მოსვეს, კუნთები მოადუნეს. შუშაკი ხელებით უხსნის შეგირდებს, რა როგორ აკეთონ. მწვრთნელის მითითებები, ეტყობა, ფეხბურთელებმა გაითვალისწინეს — გუნდი ოდნავ გამოცოცხლდა. ამასობაში კი „ქემალ სტაფაზე“ ჩამობნელდა, სტადიონის პროჟექტორები მთლად წესრიგში ვერაა. ჩვენი არ იყოს, აქაც ელექტროენერგიის დეფიციტია და ქომაგი შიშობს, სტადიონი არ ჩაბნელდეს. პროჟექტორები სანახევროდ აინთო.

დასრულდა პირველი დამატებითი ტაიმი. ჩანს, „ტირანა“ პენალტებზე ყაბულსაა... კარები შეიცვალა. ფეხბურთელებმა დრო იხელთეს და ისევ წყლის დასალევად გაქანდნენ.

„დინამომ“ ისევ აქტიურად დაიწყო, მაგრამ, როგორც მთელი მატჩისას, მასპინძლებს საიმედოდ აქვთ გადაკეტილი საკუთარი კარის მისადგომები. „დინამოს“ ბურთი ფლანგიდან ფლანგზე დაგორავს. შეტევის გამწვავებას სტუმრები ვერ ახერხებენ... ძალიან სახიფათო მომენტი. სამი დინამოელი სამი ალბანელის წინააღმდეგ. სამხარაძემ შეტევა გაშალა, მარცხნივ კანდელაკს მიაწოდა, მან ბურთი დაუბრუნა. სამხარაძე დარტყმას ცდილობს, ურტყამს, მაგრამ დედეს ფეხი ბურთის სისწრაფეს ანელებს და ეგბოც მშვიდად თამაშობს.

დარჩა 5 წუთი: ფორტუზის ჯარიმა და პინარის თავური — ზოიძე ბურთს სასწაულებრივად კუთხურზე იგერიებს. ალბანელთა შეტევა გრძელდება. უკვე 2 წუთი რჩება — „დინამო“ მეტოქის ნახევარზე ვერ გადადის. შუშაკს ფერი დაჰკარგვია. ელემენტარული სიტუაციისას შეგირდთა მორიგი უზუსტო პასის შემდეგ მწვრთნელმა ხელები თავში წაიშინა... იქვე კელის სასტვენი, პენალტების დროა. დარასელია, ანჩაბაძე, მელქაძე — მეპენალტეები შეცვლილნი არიან. ვინ დარტყამს?

შუშაკმა გოგობერიშვილი, ბურდული, ახალაია, სამხარაძე და ხიზანეიშვილი თქვა. პირველი დარტყმა „ტირანასია“ პატუში — 1:0, გოგობერიშვილი — 1:0 (ააცილა), ლიკი — 2:0, სამხარაძე — 2:1, დედე — 3:1, ხიზანეიშვილი — 3:2, ჰალილი — 4:2, ახალაია — 4:2 (მეკარე). „ტირანა“ შემდეგ ეტაპზეა. რაღა უნდა ითქვას? „ტირანამ“ დაიმსახურა. ბოდიში, წერის საშუალება აღარ მაქვს, ალბანელები ყირაზე გადადიან...

ნამატჩევს ნირწამხდარმა ივო შუშაკმა მხოლოდ ეს გვითხრა: „ტირანამ“ დამსახურებულად მოიგო და ღირსეულად გაიდა მომდევნო ეტაპზე“.

მილანური ცხრამუხა
უკონკურენტო კალაძეს კონკურენტი უნდა. ზოგჯერ

იტალიურმა „მილანმა“ ახალი სეზონისთვის მზადება 19 ივლისს დაიწყო. მილანელოს საწვრთნელ ცენტრში კარლო ანჩელოტისთან 24 ფეხბურთელი გამოცხადდა, იყვნენ ახალწვეულებიც — ბრაზილიელი კაფუ და ყმაწვილი ფორვარდი მარკო ბორიელო, მათ სამ დღეში აწ ყოფილი ლაციოელი ჯუზეპე პანკაროც შეუერთდა. ცხადია, იყო კახა კალაძეც.

პირველი ვარჯიში, ახალი სეზონი და ახალი მიზნები... რა თქმა უნდა, ახალი კონტრაქტიც, რომელიც „მილანის“ უფროსობამ ფეხბურთელებს შესთავაზა. ინძაგიმ და გატუზომ ხელშეკრულებებს მაშინვე მოაწერეს ხელი. ისინი „როსონერის“ ერთგულნი 2008 წლამდე იქნებიან. განუყრელმა ძმაკაცებმა, კალაძემ და შევჩენკომ კი დრო ითხოვეს...

მოკლედ, კალაძეს მილანში დავუკავშირდით, საქართველოს ზედიზედ სამგზის საუკეთესო ფეხბურთელი „სარბიელს“ კლუბის დღევანდელობაზე ესაუბრება

— საკმაო ხნით და, ალბათ, კარგადაც დაისვენეთ. პირველი ვარჯიში ძნელი იყო?

— არც ისე, ჩვენ პროფესიონალები ვართ. პირველ დღესვე სრული სერიოზულობით მივუდექით საქმეს, მაგრად დავიტვირთეთ.

— ვიცი, ტიფოზების ოვაციები არც ახლა მოგკლებიათ, ისინი მოუთმენლად ელოდნენ ვარჯიშების განახლებას...

— როგორც წესი, მილანელოში ძალიან ბევრი ქომაგი გვსტუმრობს. ახლა კი მოლოდინს გადააჭარბა, ხუთი ათასამდე ფანი შეძახილებით და სიმღერებით გვამხნევებდა.

— კარლო ანჩელოტიმ რა გითხრათ?

— განსაკუთრებული არაფერი. ამდენი ხნის უნახავებს მოკითხვისთვისაც არ გვეცალა. ჩვეულად ვივარჯიშეთ, წინ ხომ გრძელი და მომქანცველი სეზონი გველის.

— და რომლისთვისაც აქედანვე საფუძვლიანად ემზადებით...

— რა თქმა უნდა, სხვანაირად არც შეიძლება იყოს. „მილანს“ ექვსი ტიტულისთვის მოუწევს ბრძოლა. ვეცდებით, ყველა მოვიგოთ, თუმც უძნელესი საქმე იქნება, მაგრამ არ გვეშინია.

— პრიორიტეტული უფრო რომელია, სკუდეტო? იტალიაში ხომ ქვეყნის ჩემპიონის ტიტული ძვირად ფასობს.

— არც ეგრეა საქმე. შარშან ჩემპიონები ვერ გავხდით, მაგრამ ჩემპიონთა ლიგა და იტალიის თასი მოვიგეთ, არანაკლებ მნიშვნელოვანი ტურნირები. ახლა კი ჩვენი უპირველესი ამოცანა სამი ტიტულის მოგებაა, „იუვენტუსთან“ იტალიის სუპერთასზე, „პორტუსთან“ ევროპის სუპერთასზე და „ბოკა ხუნიორსთან“ საკონტინენტთაშორისო თასზე.

— უკვე მეორე წელია, გუნდი ამერიკულ ტურნეში მიდის. ახლაც ასეა. მილანელოდან როდის მოგიწევთ აშშ-ში აბარგება?

— 29 ივლისს, დილით, ვაშინგტონში მივფრინავთ, 30-ში კი ესპანურ „ბარსელონას“ ამხანაგურად ვეთამაშებით. სეზონის პირველი ოფიციალური მატჩი 3 აგვისტოს გველის ნიუ იორკში იტალიის სუპერთასისთვის ჩემპიონ „იუვენტუსთან“. ვიცი, ტურინელები დაბოღმილები არიან ჩვენზე, მანჩესტერში, ლიგის ფინალში რომ დავამარცხეთ, ახლა რევანშისთვის იბრძოლებენ. თუმც ერთიცაა, ისინიც ჩვენნაირ სიტუაციაში არიან, „იუვენტუსმა“ ვარჯიში ახლაღა განაახლა.

— ფილიპო ინძაგიმ და ჯენარო გატუზომ 2008 წლამდე გააფორმეს კონტრაქტები, ადრიანო გალიანიმ ახალი ხელშეკრულება შენც შემოგთავაზა...

— სეზონის დაწყებამდე აუცილებლად გავაფორმებ, არ მეჩქარება.

— არ ვჩქარობო, თქვი. შენთვის მისაღები პირობების გამო?

— ჰო, მოლაპარაკებები მიდის.

— „მილანის“ სატრანსფერო ამბებზეც ვთქვათ. ორი მცველი დაიმატეთ — ჯერ კაფუ, ახლა კი პანკარო. შენი აზრით, მაინც რაში სჭირდება გუნდს ამდენი მცველი, კაფუ-პანკაროს ჩათვლით ხომ ცხრანი ხართ...

— ვთვლი, რომ ნორმალურია. ბევრი თამაში, მომქანცველი სეზონი გველის. გრძელი სკამი აუცილებელია. წინა სეზონში სამიოთხი ვიყავით ისეთი, ვისაც მთლიანობაში 60-მდე მატჩის ჩატარება მოგვიხდა. კი, ახალგაზრდა ხარ, ჯანიანიც, მაგრამ შეუსვენებლად ამდენი თამაში ადამიანის ორგანიზმისთვის მავნებელია.

— კაფუც და პანკაროც ამპლუით მარჯვენა მცველები არიან, ასეთივე ტიპის მოთამაშეა ხორვატი დარიო შიმიჩიც. ერთი სიტყვით, დაცვის მარჯვენა ფლანგზე მძაფრი კონკურენცია იქნება, მარცხნივ კი... ანჩელოტისთვის შენ უალტერნატივო ხარ?

— რა ვიცი, როგორ გითხრათ. მსიამოვნებს და მიხარია, მწვრთნელი რომ მენდობა, მაგრამ პანკაროს, იგივე მალდინის მარცხნივაც შეუძლიათ თამაში. ეგ ჩემთვისაც კარგია, ცოტა ამოსუნთქვის საშუალებაც მექნება.



ადრიანო გალიანი კალაძეს ელის

— „მილანი“ კიდევ ვინმეს შემატებას ხომ არ აპირებს?

— ჯერჯერობით სიწყნარეა. სატრანსფერო ბაზარზე, რომ იტყვიან, არ ვჩანვართ. ადრიანო გალიანიმ და კარლო ანჩელოტიმ ის ძირითადი ბირთვი შეინარჩუნეს, რომელმაც გუნდს წარმატება მოუტანა. მე ამას მივესალმები, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ კვლავაც გვენდობიან.

— „როსონერი“ ტიფოზებმაც დააფასეს. სულ რაღაც ექვს დღეში 45 000 სეზონური აბონემენტი შეიძინეს. ამბობენ, „მილანის“ ქომაგებმა მსოფლიო რეკორდი დაამყარესო...

— არც მიკვირს, ფანტასტიკური სეზონის შემდეგ ასე რომ მოიქცნენ. მათ მხარდაჭერას მუდამ ვგრძნობთ.

— სანდრო ნესტას თმები შეუჭრია. დალაღებს როგორ შეელია, იმიჯი რატომ შეიცვალა?

— ალბათ, სიცხის გამო. მილანში ახლა ძალიან ცხელა. ასეთი პაპანაქება, რაც აქ ვარ, არ მახსოვს. ქალაქიც დაცარიელებულია, ყველაფერი დაკეტილია. ხალხი დასასვენებლადაა გაკრეფილი.

— დაბოლოს, შესაძლოა, სერია A-ს სტარტი გადაიდოს. კლუბები თურმე სატელევიზიო კონტრაქტებს ვერ აგვარებენ. ასეთი რამ შარშანაც მოხდა, ჩემპიონატი დათქმულ დროს არც დაწყებულა...

— მართალია, შარშან ასე იყო, მაგრამ არა მგონია, წლეულსაც განმეორდეს. იტალიის ჩემპიონატი აგვისტოს ბოლოს დაიწყება.

გიორგი ვაჟაძე

ვერაფერი გავიგე!
გიორგი ყიფიანს ოსები ჰოს ეუბნებიან და არას აკეთებენ

„ვიტ ჯორჯიას“ ყოფილმა კაპიტანმა გიორგი ყიფიანმა ქართულ ვერცხლს მეთოთხმეტე ჩემპიონატის ბრინჯაოც მიუმატა, კლუბის თავკაცებს დაემშვიდობა და სასურველი უცხო გუნდის ძებნას შეუდგა.

ვიტელთა ცენტრალურ ნახევარმცველს თითქმის ერთთვიანი ლოდინის შემდეგ მსურველი გამოუჩნდა – რუსეთის ჩემპიონატის ერთ-ერთმა აუტსაიდერმა „სპარტაკ-ალანიამ“ ჩვენებური ვლადიკავკაზში გასასინჯადაც იწვია და მცირეხნიანი დაკვირვების შემდეგ ორწლიანი კონტრაქტიც გაუფორმა.

ვლადიკავკაზელთა შემადგენლობაში ყიფიანის გამოჩენას ყოველ ტურში ველოდით, მაგრამ მოულოდნელად გიორგი თბილისში დაბრუნდა და „სპარტაკ-ალანიაში“ მის ტრანსფერსაც სასიკეთო პირი არ უჩანს

გიორგი ყიფიანს (№20) საკუთარი ბედი ჯერაც ვერ გაურკვევია

— ვერაფერი გავიგე. ოსურ კლუბთან თითქოს არანაირი პრობლემა არ მქონია. მწვრთნელი ბახვა თედეევიც კმაყოფილი იყო და პრეზიდენტ ტაკოევსაც არ დასცდენია სამდურავი. ჩვენ შენი სტილის მოთამაშე გვჭირდებაო — გამამხნევა ტაკოევმა, როცა ორწლიანი კონტრაქტი წინ დამიდო და მეც ხელი მოვაწერე.

დრო გადიოდა, ოსები ჩემი სატრანსფერო სერთიფიკატის გამოთხოვას არ ჩქარობდნენ, ელისტაშიც უჩემოდ წავიდნენ. ვხვდებოდი, რაღაც პრობლემები იყო ჩემს თავს, მაგრამ იქ დარჩენას თბილისში დაბრუნება ვარჩიე. გუშინ ვლადიკავკაზში მთელი დღე ვრეკავდი, მაგრამ კლუბის თავკაცი ვერ მოვიხელთე, თუმც ადრე თუ გვიან მაინც დაველაპარაკები და გავარკვევ რაშია საქმე.

— იქნებ „ვიტ ჯორჯიამ“ და „სპარტაკ-ალანიამ“ ვერ გამონახეს საერთო ენა და შენი ტრანსფერიც ამან შეიწირა?

— გამორიცხულია, „ვიტ ჯორჯიას“ თავკაცებს ჩემთვის ხელი შეეშალათ. სანამ ვლადიკავკაზში პირად კონტრაქტს გავაფორმებდი, მანამდე ტაკოევს ვიტელთა პირობები გავაცანი. ოსები ყველაფერზე თანახმანი იყვნენ. მათ „ვიტ ჯორჯიას“ ოფისში საგარანტიო წერილიც აფრინეს, სადაც შავით თეთრზე ეწერა, რომ „სპარტაკ-ალანიასთვის“ ვეტერინართა მოთხოვნები მისაღებია და თანხმობას აცხადებენ, ყიფიანის სანაცვლოდ გარკვეული თანხა გადაიხადონ. ის საგარანტიო წერილიც ჩემი თვალით ვნახე. ამიტომ ვერ ვხვდები, რა პრობლემა უნდა შემქმნოდა.

— ახლა რას აპირებ?

— ვეცდები, ოსებთან ურთიერთობა საბოლოოდ გავარკვიო. კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს და ამ ხნის მანძილზე უთამაშებელი ხომ არ ვიქნები. არადა, კონტრაქტიანი სხვა კლუბს როგორ დავუკავშირდე, არ მინდა, ხათაბალაში გავებაა. იმედია, ყველაფერს მალე გავარკვევ, ან ოსეთში სათამაშოდ დავბრუნდები, ანაც კონტრაქტს გავაუქმებ და ჩემს გზას ვეწევი.

— თუ „სპარტაკ-ალანია“ გამოირიცხა, „ვიტ ჯორჯიაში“ არ დაბრუნდები?

— ჯერ არ ვიცი. „ვიტ ჯორჯიამ“ უჩემოდ ითამაშა ინტერტოტოზე, შეკრებაც უჩემოდ გაიარა, გუნდიც დაკომპლექტებულია და შემადგენლობაში ძალით ხომ არ ჩავეჩხირები. ვეცდები, ისევ უცხოეთში მოვეწყო. თუ ვერა, დეკემბრამდე რომელიმე ქართულ კლუბში ვითამაშებ.

მამუკა კვანტალიანი

თბილისური ფსონი

გამოიცან, ვინ არის ლორთქიფანიძის გაოცება

ჯაკობიამ თბილისი ჰატარა ევროებში არ დათმო

„თბილისი“, რომელიც წინა სეზონში „მერანი-ოლიმპის“ სახელით გამოდიოდა, ახლახან დაბრუნდა გერმანული შეკრებიდან.

„თბილისი“ ის გუნდია, სადაც ნორმალური და სტაბილური ფინანსური სიტუაციაა და, რა თქმა უნდა, დამდეგ სეზონში მისგან კარგი თამაშის გარდა იმასაც ველით, რომ ინტრიგას შემატებს მე-15 ეროვნულს.

გუნდის მთავარ მწვრთნელ თემურ-ლორთქიფანიძეს გუშინ ვესაუბრეთ

თემურ ლორთქიფანიძე შეგირდებს თამაშითაც შეეშველა

— გერმანული შეკრების ძალიან კმაყოფილები ვართ. ჩვენ ჰენესში დავბინავდით, რომელიც კიოლნსა და ბონს შორის მდებარეობს. ჰენესის ამ ბაზას გერმანიის საფეხბურთო და სპორტის სხვა სახეობების ნაკრები გუნდებიც სტუმრობენ — ეს ტყეში გაშენებული მთელი სპორტული კომპლექსია თავისი აუზებითა და ყველანაირი მოწყობილობით. იქ ორი კვირა დავყავით და სამი საკონტროლო მატჩი ვითამაშეთ. ჯერ ობერლიგელებთან, „ზოლინგენთან“ 1:0 და „გუტერსლოსთან“ 2:2. მესამე მატჩი „გუტერსლოსთან“ თამაშიდან მეორე დღეს შემოგვთავაზეს, ჯერ უარი ვუთხარით, რაღგან გადაღლის გარდა ფეხბურთელთა მიკროტრავმებმაც წამოყო თავი მაგრამ მერე გოჩა თამაზაშვილმაც გვთხოვა (ის ჩვენი გერმანული შეკრების ერთ-ერთი ორგანიზატორი გახლდათ) და დავყაბულდით „შალკეს“ მესამე გუნდთან 30-30 წუთიანი ტაიმების თამაშს. პატარა კურიოზიც კი მოხდა — მე ლიბეროდ მომიწია თამაშმა, ჩემს თანაშემწე გიორგი დევდარიანს ნახევარმცველად. საბოლოოდ, „შალკეს“ მესამე გუნდმა 3:0 მოგვიგო.

— დამდეგი სეზონისთვის „თბილისს“ სახელიანი მოთამაშეები არ დაუმატებია, თუ არ ჩავთვლით „დინამოდან“ ნათხოვარ ლაშა ჯაკობიას — როგორ წარმოაჩინა თავი შეკრებაზე ამ ფეხბურთელმა?

— ჯაკობიამ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მის შესაძლებლობებს კარგად ვიცნობ. როცა ჯაკობია ბავშვობაში „მისში“ თამაშობდა, მაშინაც მისი მწვრთნელი ვიყავი. ამ ფეხბურთელს ბევრი შეუძლია და ვფიქრობ, დეკემბრამდე საგრძნობლად მოუმატებს — „დინამოსგან“ ის ნახევარი სეზონით ვითხოვეთ. როცა მისმა აგენტმა გაიგო, რომ ჯაკობიამ ორ თამაშში მთელი 90 წუთი დაჰყო მინდორზე, მყისვე საფრანგეთის მეორე დივიზიონის „კანში“ გადასვლის ვარიანტი შესთავაზა. ჯაკობიათი სხვადასხვა გერმანული გუნდებიც დაინტერესდნენ, კიევის „არსენალიდანაც“ იყო მოთხოვნა, მაგრამ ჯაკობიას ურჩევნია, ჩვენთან დარჩეს და კარგ ფორმაში შევიდეს. თანაც საფრანგეთის მეორე დივიზიონში, როგორც ჯაკობიამ გვითხრა, არ არის მაღალი ანაზღაურება — 3-4 ათასი ევრო იქ დიდი ვერაფერი ფულიაო.

— თავდასხმაში ჯაკობიას და სულიკო დავითაშვილს დაეყრდნობით?

— დიახ, მათ გარდა კიდევ გვყავს კოკა მიკუჩაძე და გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე — ორი ფორვარდით ვითამაშებთ, რომელთაც უკნიდან ერთი შემტევიც დაეხმარება — თორნიკე აფციაური. მოკლედ, 3-4-3 სქემით ვაპირებთ თამაშს.

— მიკუჩაძეზე რას გვეტყვით? ის არცთუ ურიგოდ გამოიყურებოდა შუაკამდელ „დინამოში“.

— მას ცოტა ფიზიკური კონდიციები უშლის ხელს და საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ჩვენი ჩემპიონატი დაახლოებით გერმანული რეგიონალლიგის დონეზეა — ამ დონეზე არიან ჩვენი წამყვანი კლუბებიც.

— „თბილისის“ დანარჩენ სათამაშო რგოლებზე რას გვეტყვით?

— კარში რევაზ ნაჭყეპია ჩადგება, თუმც კარგი შთაბეჭდილება დატოვა მანუჩარ ივარდავამაც. ავიყვანეთ გამოცდილი მცველი კახა სიდამონიძე. შეკრებამდე ის არ იყო ფორმაში, მაგრამ ახლა წონაშიც დაიკლო და ძალიან მონდომებულია. დაცვას გაამაგრებენ ბესო მიქიაშვილი, ნადირაშვილი და გურამ ხარებავაც. საყრდენი მიხეილ მესხი იქნება, შუაში ითამაშებს გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძეც. გამაოცა მარჯვენაფლანგელმა გოგიტა გოგუამ. ეს ახალგაზრდა ფეხბურთელი წინა სეზონის ბოლოს მოვიდა ჩვენთან და დიდი შთაბეჭდილება ვერ დატოვა, მაგრამ ამ მოკლე ხანში ძალიან მოუმატა, თანაც დავაჟაცდა, სიმაღლეშიც გაიზარდა — ვფიქრობ, ის ძალიან პროგრესული ფეხბურთელია. ის მებრძოლი სულისაა. ორივე ფეხით კარგად თამაშობს. რაც შეეხება მარცხენა ფლანგს, ამ პოზიციაზე გოჩა ხოჯავა გვყავს.

— გასაგებია, მაგრამ „თბილისს“ არცთუ გრძელი სკამი აქვს...

— მართალია, მაგრამ ამ მხრივაც მიდის მუშაობა. ამას წინათ ირაკლი გემეზაშვილმა დამირეკა და „თბილისში“ თამაშის სურვილი გამოთქვა. ეს ნახევარმცველი ბოლოს გერმანიასა და უნგრეთში თამაშობდა, მანამდე „დინამოში“ და ახალგაზრდულ ნაკრებშიც იყო. შესაძლოა, ჩვენთან ითამაშოს დავით დათვაძემაც, რომელიც „ლოკომოტივის“ საკუთრებაა.

— „თბილისი“ რა მიზანს შეეჭიდება ამ სეზონში?

— გვსურს, ზეექვსეულში მოვხვდეთ. თუმც, როცა სეზონი გახურდება, ჩვენი მიზნებიც ალბათ მერე უფრო კარგად გამოიკვეთება.

— საშინაო მატჩებს სად ჩაატარებთ?

— მოგეხსენებათ, სკა-ს სტადიონზე ჯერაც სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს. მანამდე გვინდა, რომ „შევარდენზე“ ვითამაშოთ და ვივარჯიშოთ.

დავით თავართქილაძე

ლანსიც ვიცით და ბალანსიც

უტაჯა რომ გეტაჯება, ჯენჭისყრა სეტყვად მოგეჩვენება

ჟოელ მიულერი

ქუთაისის „ტორპედომ“ ბულგარული შეკრება რომ დასრულა, გუშინდელ „სარბიელში“ გაუწყეთ. ახლა რიონისპირელთა საუფასთასო მეტოქის, ფრანგული „ლანსის“ მოსამზადებელ ეტაპზეც მოგახსენებთ. ჟოელ მიულერის გუნდმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. სეზონის დასრულების შემდეგ „ლანსი“ ექვსმა ფეხბურთელმა დატოვა. ჟოსელინ ბლანშარს, ჯო ქენონს და ტონი ვერელს კონტრაქტი დაუმთავრდათ. ამათ გარდა გუნდიდან მეთიუ ბუშერი, ზუმანა კამარა და გიიომ ვარმუზიც წავიდნენ. შევსება კი საკმაოდ უხეი გამოდგა — „ლანსმა“ უკვე ათი ახალწვეული წარუდგინა საზოგადოებას. ყველაზე ძვირფას შენაძენად მიულერი ესტებან ფუერტესს თვლის, რომელიც არგენტინულ „რივერ პლეიტს“ წაჰგვარა. ჟურნალისტები სტეფან პედრონის, იბრაჰიმ ნდიაიესა და ბრუნო როდრიგესის მოთაფვლასაც უწონებენ ლანსელებს.

გუნდის თავკაცმა ძირითადი ბირთვის შენარჩუნება მაინც შეძლო — რიგობერტ სონგი, ანტუან სიბიერსკი, დავუ ბაკარი, ჯონ უტაკა... ევროპულ ფეხბურთში კარგად ცნობილი ამ ბიჭების ძალას საკუთარ თავზე ქუთაისის „ტოპედოც“ გამოსცდის.

საახალსეზონო მზადების პერიოდში „ლანსმა“ ოთხი ამხანაგური მატჩი ჩაატარა. პირველად ჟოელ მიულერის შეგირდები საფრანგეთის ჩემპიონ „ლიონს“ შეხვდნენ. მატჩი 2:2 დასრულდა. ლანსელთაგან გოლები კორიდონმა და დიანემ გაიტანეს მე-2 და 86-ე წუთებზე. ტორპედოელთა მეტოქემ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *იტანუე — ჟაბი, ბაკი, კამარა (ფანი 62), ლაშუერი — კორიდონი (დიანე 72), სარი, პედრონი (როდრიგესი 62), რული (პლესი 62) — მორეირა (ნდიაიე 72), ტომერი (ფურტადო 79).*

დანარჩენი სამივე შეხვედრა კი „ლანსის“ გამარჯვებით დასრულდა. ფრანგებმა სიბიერსკის, დიანესა და პედრონის გოლებით 3:2 დაამარცხეს ბელგიური „ლუვიე“. მიულერმა „ლიონთან“ ნათამაშები 3-5-2 ტაქტიკური სქემის ნაცვლად ამჯერად 4-3-1-2 გამოიყენა. ბელგიელებმა პირველი ტაიმი 2:0 მოიგეს, თუმც ბრძოლისუნარიანმა ლანსელებმა მეორე ნახევარში იფრინეს. შემადგენლობა ასეთი იყო: *იტანუე — ფანი, ფეიე (ბაკი 62), კამარა (სიკორა 46), რული (ლაშუერი 62) — კაისი (ბარული 46), პლესი (სარი 46), ტომერი (პედრონი 60) — სიბიერსკი — დიანე (ფურტადო 82), ნდიაიე (მორეირა 62).*

ლანსელთა მორიგი მსხვერპლი ინგლისური პირველი დივიზიონის „ჯილინგემი“ გამოდგა. ფრანგებმა ამჯერად იოლად, 3:0 სძლიეს მეტოქეს. პაპე ბუბა დიოპის (58), როდრიგესისა (75) და დიანეს (83) გოლებს ალბიონელებმა ვერაფრით უპასუხეს. ამ მატჩში „ლანსს“ შარშანდელ ჩემპიონთა ლიგაში მიუნხენის „ბაიერნისა“ და „მილანის“ კარის დამლაშქრავი ჯონ უტაკა დაუბრუნდა, რომელმაც მცირე ტრავმა მოირჩინა და ახლა ჯანზეა. „ჯილინგემთან“ „ლანსმა“ ისეთივე სქემით ითამაშა, როგორითაც „ლუვიესთან“: *იტანუე (შარო 46) — ფანი, ბაკი, კამარა, ლაშუერი — პედრონი (ტომერი 60), კეიტა (ფეიე 74), დიოპი (სარი 60) — სიბიერსკი (დიანე 74) — უტაკა (მორეირა 60), ბაკარი (როდრიგესი 60).*

„ლანსს“ ვერც ბელგიურმა „ლოკერენმა“ გაუძლო. ბელგიაში ნასტუმრებმა ფრანგებმა ანტუან სიბიერსკის დუბლით 2:0 დაამარცხეს შარშან ინტერტოტოს თასიდან თბილისური „ვიტ ჯორჯიას“ გამგდები „ლოკერენი“.

ჟოელ მიულერს წინა ორ მატჩში მოგება ისე მოეწონა, რომ გუნდი ახლაც 4-3-1-2 მონახაზით ათამაშა და, როგორც ჩანს, სწორედ ესაა „ლანსის“ ძირითადი სათამაშო სახე.

„ლოკერენი“ კი ამ შემადგენლობამ დაამარცხა: *იტანუე — ფანი, ბაკი (სიკორა 73), ფეიე, რული — დიოპი, სარი (პედრონი 75), ტომერი (დიანე 85) — სიბიერსკი (კეიტა 62) — უტაკა, მორეირა (ბაკარი 62).*

პაპე ბუბა დიოპთან (მარჯვნივ) ჰიდაობა ძალიან ძნელი საქმეა

ლანსი 2003-04 სეზონის განაცხადი

მეკარეები: სებასტიან შაბერი, გილიომ შერო, შარლ იტანუე, ნიკი მაენპაა;
მცველები: იაცეკ ბაკი, პატრიკ ბარული, ადამა კულიბალი, როდ ფანი, დუდა ფაბი, იან ლაშუერი, სირილ რული, ერიკ სიკორა, რიგობერტ სონგი;
ნახევარმცველები: შარლ-ედუა კორიდონი, მუნირ დიანე, პაპე ბუბა დიოპი, აბდულა ფეიე, ალეხანდრო ფურტადო, იაზიდ კაისი, ხეიდუ კეიტა, სტეფან პედრონი, გილიომ პლესი, პაპე სარი, ანტუან სიბიერსკი, ოლივიე ტომერი;
თავდამსხმელები: დავუ ბაკარი, ბუაბიბ ბუდენი, ესტებან ფუერტესი, დანიელ მორეირა, იბრაჰიმ ნდიაიე, ბრუნო როდრიგესი, ჯონ უტაკა

REUTERS იუნიდან

ჰამბურგელმა ლარს იაკობსენმა მიუნხენელი მეჰმეთ შოლი ბურთს არ გააყარა

ბალაკმა თერთმეტმეტრიანის პრივატიზაცია მოინდომა

გერმანია

ლიგის თასის ნახევარფინალი

ბაიერნი 3:3(პენ.1:4) ჰამბურგი

1:0 ბალაკი (24პ), 1:1, 1:2 რომეო (41, 52), 1:3 ბარბარესი (66), 2:3 ელბერი (69), 3:3 ბალაკი (90პ)

ბაიერნი: კანი, ჰარგრივსი, თ. ლინკე, კუფური, სალიჰამიჯიჩი, შოლი (დაისლერი 69), იერემისი (შვაინსტაიგერი 69), ბალაკი, ზე რობერტო, ელბერი, კ. პიზარო

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

ჰამბურგი: პიკენჰაგენი, იაკობსენი, რაინჰარდტი, ჰოოგმა, რანი, ბაინლიხი, მალტრიცი, კარდოზო (ტაკაჰარა 54), მაჰდავიკია, ბარბარესი, რომეო (კლინგი 88)

მწვრთნელი: კურტ იარა

გაფრთხილება: ჰარგრივსი, შვაინსტაიგერი, კუფური, ბაინლიხი, კლინგი

მსაჯი: იანსენი

11 850 მაყურებელი

ფინალში 28 ივლისს, მაინცში დორტმუნდის „ბორუსია“ და „ჰამბურგი“ შეხვდებიან

ლიგის თასის მეორე ნახევარფინალში „ჰამბურგმა“ „ბაიერნს“ პენალტების სერიაში აჯობა და ფინალში ჰამბურგელები დორტმუნდელებს შეხვდებიან.

ბუნდესლიგის ჩემპიონისა და მეოთხეადგილოსნის მატჩი იენაში 12 ათასი მაყურებლის თანდასწრებით გაიმართა. ანგარიშიდანაც ჩანს, რომ გულშემატკივრებმა ისიამოვნეს და ჩაროზად თერთმეტმეტრიანებიც იხილეს.

ოტმარ ჰიცფელდის გუნდს ბიქსენტ ლიზარაზუ, ვილი სანიოლი და რობერტ კოვაჩი აკლდნენ. ახალწვეულებს — ტობიას რაუს და მარტინ დემიკელისსაც არ უთამაშიათ.

„ბაიერნის“ დაცვის ცენტრი მწვრთნელმა კუფურ-ლინკეს წყვილს ჩააბარა, ფლანგები კი სალიჰამიჯიჩ-ჰარგრივსს. ბოსნიელი სალიჰ ამიჯიჩისთვის წლეულს ეს პირველი მატჩი იყო შარშან ნოემბერში მიღებული ტრავმის შემდეგ.

ჩემპიონთა სანახევარდაცვო ზონა მეჰმეთ შოლმა, იენს იერემისმა, მიხაელ ბალაკმა და ზე რობერტომ აითვისეს, ხოლო შეტევა ელბერ-პიზაროს სამხრეთამერიკულმა დუეტმა იკისრა.

„ბაიერნმა“ თავიდანვე გულიანად შეუტია და ზედიზედ სამჯერ შეეძლო დაწინაურება. ბალაკმა, შოლმა და ელბერმა მომენტები გაანიავეს. ტაიმის შუაწელში მიუნხენელებს კი მონდომება მსაჯმა დაუფასა. რეინჰარდტმა ელბერი საჯარიმოში დასცა და მარკუს იანსენმა პენალტი დანიშნა. ბალაკმა აუღელვებლად გახსნა ანგარიში.

ჩემპიონმა შესვენებამდე სცადა მეტოქის მოხრჩობა, მაგრამ ტაიმის მიწურულს კონტრშეტევა გაეპარა და „ჰამბურგმა“ გაათანაბრა. რანმა მარცხენა ფლანგზე სალიჰამიჯიჩს ჩაუქროლა, ბერნარდო რომეოს კარის წინ თავზე ბურთი დაასვა და — 1:1.

გალაღებულმა „ჰამბურგმა“ მეორე ნახევარი უკეთ დაიწყო. იშტაზე მოსულმა რომეომ იერემისის არხეინობით ისარგებლა, რომელმაც ფორვარდს დარტყმაში ხელი არ შეუშალა და ოციოდ მეტრიდან ოლივერ კანის კარში მეორე გოლი გავიდა. ხუთიოდ წუთში მეორეს სერგი ბარბარესის მესამე გოლიც მოჰყვა, პასის ავტორი კი კვლავ რანი გახლდათ.

„ბაიერნმა“ ჩვეული ბრძოლის ჟინი გამოავლინა და მალე სხვაობა შეამცირა. კუთხურიდან ზე რობერტოს ჩახვეულ ბურთს ელბერის თავი დახვდა — 2:3.

ოტმარ ჰიცფელდმა მეჰმეთ შოლი სებასტიან დაისლერით, იენ იერემისი კი შვეინსტეიგერით შეცვალა. ჩემპიონმა მატჩის მიწურულს მთელი ძალებით შეუტია და ბოლო წუთზე კვლავ ელბერის წყალობით მეორე პენალტი მოინადირა. ბალაკმა ანგარიში გაათანაბრა და საქმე თერთმეტმეტრიანების სერიამდე მივიდა.

ჰამბურგელებმა ოთხივე დარტყმა უნაკლოდ შეასრულეს, მიხაელ ბალაკს კი მესამე პენალტი პიეკენჰაგენმა აუღო, ჰარგრივსმა ძელს გაარტყა და „ბაიერნი“ ფინალს მიღმა დარჩა.

ვაჟა ხუციშვილი

ინგლისური „ჩელსი“ ბელგიის პირველი დივიზიონის ბინადარ „ვესტერლოს“ მოელაპარაკა და ამიერიდან ის ფეხბურთელები, რომლებიც ლონდონელთა ძირითად გუნდში ვერ მოხვდებიან, ბელგიაში გაეშურებიან და „ვესტერლოს“ ღირსებას დაიცავენ. ეს შეთანხმება უკვე ამოქმედდა და ლონდონიდან ბელგიაში სამი ფეხბურთელი გაეშურა. სამხრეთაფრიკელი მოთამაშეები — მაიკლ მუდიბი, ბოი-ბოი მოსია და პიულ ჯეფრი ნტუკა მომავალ სეზონს „ვესტერლოში“ გაატარებენ. აღვნიშნოთ, რომ ინგლისურ და ბელგიურ კლუბებს ასეთი გარიგებები აქამდეც დაუდიათ. კერძოდ კი, „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „ანტვერპენის“, ასევე „არსენალს“ და „ბევერენს“. გარდა ამისა, კიდევ ერთი ინგლისური გრანდი, „ლივერპული“, მოლაპარაკებას აწარმოებს ბელგიის უმაღლეს ლიგაში წლეულს აღზევებულ „სერკლ ბრიუგესთან“ და ალბათ ეს გუნდებიც იგივე გზას დაადგებიან.

ესპანურმა „სევილიამ“ ბრაზილიური „სან პაულუსგან“ 21 წლის ნახევარმცველი ჟულიო ბაპტისტა შეიძინა. ბრაზილიელი ფეხბურთელის სატრანსფერო თანხამ 2,8 მილიონი დოლარი შეადგინა. ჟულიო ბაპტისტა ამჟამად ბრაზილიის ნაკრებთან ერთად კონკაკაფის ოქროს თასზე თამაშობს და როცა განთავისუფლდება, თავის ახალ კლუბს მაშინ შეუერთდება. „შეთანხმება მისაღები იყო. ჟულიო ბაპტისტა კარგი მოთამაშეა და ესპანელებს უთუოდ გამოადგება“ — აღნიშნა „სან პაულუს“ სპორტულმა დირექტორმა ჟუვენალ ჟუვენსიომ.

კორეელი იუნგ-ჰვან ანი ევროპაში დაბრუნებას გეგმავს. თუ გახსოვთ, 2002 წლის მუნდიალზე იგი აზიელთა რიგებში ერთ-ერთი ყველაზე შესამჩნევი ფიგურა იყო და მერვედფინალში „სკუადრა აძურას“ სწორედ მან გაუტანა გამარჯვების გოლი. ამის შემდეგ მას იტალიურ „პერუჯასთან“ კონფლიქტი მოუვიდა და სათამაშოდ იაპონიას მიაშურა. ახლა კი 27 წლის ანის გადაბირება არაერთ ევროპულ კლუბს უნდა და თავადაც გუნდის გამოცვლას ეშურება. ანს ეს სურვილი შარშანაც ჰქონდა, მაგრამ „ბლექბერნ როვერსში“ სამუშაო ვიზასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ვერ გადავიდა და არც მადრიდის „ატლეტიკოსთან“ გამოუვიდა რამე. ახლა კორეელი თავდამსხმელით გერმანული „შალკე“ და „ჰერტა“ არიან დაინტერესებულნი, მაგრამ ფავორიტად ჯერჯერობით ესპანური „მალიორკა“ მიიჩნევა, რომელიც მასში 25 მილიონი დოლარის გადახდას აპირებს.

ინგლისური „ბირმინგემი“ მალაიზიის დედაქალაქ კუალა ლუმპურში იმყოფება და პატარა ტურნირში მონაწილეობს. თუმცა კლუბის უფროსობა სატრანსფერო პოლიტიკას არ ივიწყებს და არგენტინული „როსარიო სენტრალიდან“ პერსპექტიული ფეხბურთელის, ლუსიანო ფიგუეროას შეძენას აპირებს. სატრანსფერო თანხა ცნობილი არ არის, მაგრამ ფიგუეროას არგენტინელები 25 მილიონ გირვანქად აფასებენ. „ფეხბურთელმა სამედიცინო შემოწმება უკვე გაიარა და მის პირად კონტრაქტზე ახლო მომავალში ვილაპარაკებთ“ — განაცხადა „ბირმინგემელთა“ თავკაცმა სტივ ბრიუსმა. აღსანიშნავია, რომ თუ ინგლისური კლუბი მიზანს ვერ მიაღწევს, არგენტინელის მსურველთა რიგში ბერძნული „ოლიმპიაკოსი“, ესპანური „ოსასუნა“ და ასევე ინგლისური „ვულვერჰემპტონი“ დგანან. ფიგუეროა 22 წლის თავდამსხმელია, რომელმაც ახლახან შეაღო ეროვნული ნაკრების კარი. გარდა ფიგუეროას გადაბირებისა, „ბირმინგემს“ ახალი მეკარეც სჭირდება. ამაზე ბრიუსმა შემდეგი კომენტარი გააკეთა: „ჩვენ ისევ ვეძებთ გოლკიპერს და იმედი გვაქვს, რომ მისი წარდგენის საშუალება ამ კვირაშივე გვექნება“.

უკრაინის ნაკრებისა და კიევის „დინამოს“ მცველმა იური დმიტრულინმა ფეხი მოიტეხა და საკმაო ხნით ჩამოშორდა ფეხბურთს. 28 წლის ფეხბურთელმა ეს ტრავმა უკრაინის ჩემპიონატის მე-3 ტურის მატჩში მიიღო. კიევის „დინამომ“ 3:0 კი დაამარცხა „არსენალი“, მაგრამ გამარჯვება არ შეერგო, რადგანაც სტუმართა გუნდის მოთამაშემ ანდრეი ჩერნოვმა ძალიან უხეშად ითამაშა (წითელი ბარათიც მიიღო) დმიტრულინის წინააღმდეგ და მძიმედ დაშავა. „მან მარჯვენა ფეხი მოიტეხა და ჯერჯერობით არ ვიცით, როდის განაახლებს ვარჯიშს, მაგრამ ცხადია, რომ ამას თვეები დასჭირდება. დმიტრულინი დიდი დანაკლისია, როგორც ჩვენთვის, ასევე ნაკრებისთვისაც“ — აღნიშნა „დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტმა იოზეფ საბომ.

PEACE CUP

ფინალი

ლიონი (საფრანგეთი) 0:1 პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია)

0:1 ვან ბომელი (23)

ლიონი: კუპე, დეფლანდრე, ედმილსონი, ბ. მიულერი (სატრე 87), ვიოლო, დორასო, კარიერი (ბერგონო 66), ვიალე, ესიენი (მაპამადუ 46), გოვუ (ფუნინიო პერნამბუკანო 57), რეველიერი

მწვრთნელი: პოლ ლე გუენი

პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ოიერი, ი. ლი, ბოგელუნდი, რობენი, ვან ბომელი, ვან დერ შაატი, ლუსიუსი, პარკი, ჯ. დე იონგი (კეიმანი 61), კოლინი (ჰოოგსტრატე 46)

მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

მსაჯი: მასაიოში ოკადა (იაპონია)

33 778 მაყურებელი

ჰეფი ენდი

მიოლერს, ცხადია, ყატარი ელის

ენდი მიოლერს ფეხბურთის თამაში მოსწყინდა. 35 წლის გერმანელმა კარიერა დაასრულა და ახლა მომავალზე ფიქრობს.

უკვე წესად იქცა, რომ ყატარელი შეიხები ევროპელებს მილიონიანი კონტრაქტებით ხიბლავენ და არც მიოლერის „გაარაბებაა“ გამორიცხული.

„თავზესაყრელი ვარიანტები მაქვს, მათ შორის ყატარიდანაც, მაგრამ ჯერ მხოლოდ დასვენებას ვაპირებ. შემოდგომიდან შეიძლება სამწვრთნელო ხელობას დავეუფლო და ლიცენზია ავიღო. მერე ეგებ რომელიმე გუნდის დამრიგებლადაც მოგევლინოთ“ — თქვა მან.

ენდი მიოლერის კარიერა 1985 წელს ფრანკფურტის „აინტრახტში“ დაიწყო. სამ სეზონში 35 მატჩში ითამაშა და მერე დორტმუნდის „ბორუსიაში“ გადაბარგდა. გერმანიიდან იტალიაში, ტურინის „იუვენტუსში“ გადაინაცვლა.

ტურინელებს 56 შეხვედრაში 19 გოლით შეეწია და 1993 წელს „იუვენტუსთან“ ერთად უეფას თასი მოიგო.

სამშობლოში დაბრუნებულმა კვლავ დორტმუნდს მიაშურა. 1997-ში „შავ-ყვითლების“ შემადგენლობაში ჩემპიონთა თასი მოიგო, მერე კი გელზენკირხენელ „ხუმარებს“ შეეკრა.

მთლიანობაში მას 418 ბუნდესლიგური მატჩი და 110 გოლი მოუგროვდა. მიოლერი 1990 წლის მსოფლიოსა და 1996 წლის ევროპის ჩემპიონია. ნაკრებში 85-ჯერ ითამაშა და საკუთარ ანგარიშზე 30 გოლი გაიფორმა.

ვაჟა ხუციშვილი

ამხანაგური მატჩი

REUTERS სიეტლიდან

მანჩესტერელი ოლე გუნარ სოლსკიაერი (მარცხნივ) მატჩის გმირი შეიქნა, გლაზგოელმა ალან ტომპსონმა კი პენალტი გააფუჭა

ბექმეი გადავიდა? გაუმარჯოს მანჩესტერს!

მანჩესტერ იუნაიტედი 4:0 სელტიკი

1:0 ვან ნისტელროი (7), 2:0 გიგზი (28), 3:0 სოლსკიაერი (39), 4:0 ბელიონი (72)

მანჩესტერ იუნაიტედი: კეროლი, გ. ნევილი, ფერდინანდი, ოში, ფ. ნევილი (პაფი 88), სოლსკიაერი (რიჩარდსონი 74), კინი (ვერონი 46), ბათი (ფლეტჩერი 74), ფორლუნი (სქოულზი 67), გიგზი (ბელიონი 59), ვან ნისტელროი (ფორლანი 59)

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

სელტიკი: ჰედმანი (დუგლასი 46), ბალდე, ვარგა (მაკნამარა 73), უ. ლაურსენი (მიალბი 46), აგატი (სილა 73), ტომპსონი (პეტა 73), ს. პეტროვი (მელოუნი 46), სმიტი (კენედი 46), ლენონი (ლამბერტი 46), ლარსონი (ფერნანდესი 73), სატონი (ბიტი 86)

მწვრთნელი: მარტინ ონილი

66 772 მაყურებელი

„მანჩესტერ იუნაიტედი“ ამტკიცებს, რომ დევიდ ბექემის წასვლით ცხოვრება არ სრულდება — სეზონისწინა ამერიკული ტურნეს პირველ შეხვედრაში ინგლისის ჩემპიონმა შოტლანდიის სახელოვან გუნდს, „სელტიკს“ 4:0 მოუგო. გოლები გაიტანეს რუუდ ვან ნისტელროიმ, რაიან გიგზმა, ოლე გუნარ სოლსკიაერმა და ფრანგმა დებიუტანტმა დავიდ ბელიონმა.

შეხვედრა სიეტლში, „სიჰოუკ სთედიუმზე“ გაიმართა და მას მაყურებელთა სარეკორდო რაოდენობა, 66 772 კაცი დაესწრო.

მანჩესტერელთა წარმოდგენამაც არ დააგვიანა — სოლსკიაერის პასმა და ვან ნისტელროის მარცხენა ფეხით შესრულებულმა დარტყმამ მე-7 წუთზევე დაუდო სათავე მარკუს ჰედმანის კარის რბევას.

მე-18 წუთზე სქოთებს ანგარიშის გათანაბრების შანსი ებოძათ — „იუნაიტედის“ კაპიტანმა როი კინმა საკუთარ საჯარიმოში სტილიან პეტროვი წააქცია, მაგრამ ალან ტომპსონმა პენალტი ააცილა და ამის შემდეგ ინგლისელებმა უპირატესობას საბოლოოდ ჩაასჯიდეს ხელი.

28-ე წუთზე ზემოხსენებულმა ვან ნისტელროიმ გიგზს გაუწია კომპანიონობა, ხოლო ტაიმის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე სოლსკიაერმა, რომელიც ამპლუის მიხედვით ბექემის უშუალო და პირდაპირ შემცვლელად წარმოგვიდგა, მარჯვენა ფეხით დაუმიზნა და მესამე გოლი შეაგდო „სელტიკის“ კარში.

შესვენებისას კინი ხუან სებასტიან ვერონით შეცვალეს და უნდა ითქვას, რომ ამ ცვლილებამ მანჩესტერელებს სიმწვავე დააკლო, თუმცა ერთი ხნის შემდეგ მოედანზე პოლ სქოულზი და დებიუტანტი დავიდ ბელიონი გამოჩნდნენ და მათ ისევ გაამწვავეს ინგლისელთა შეტევები.

გოლი, რომელიც ბელიონმა შეაგდო სწორედ სქოულზის პასით გავიდა, ოღონდ ეპიზოდი ძალიან ჰგავდა ოფსაიდს.

ბოლო კი შეგახსენებთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ამერიკაში კიდევ სამი თამაში ელის. „ბარსელონასთან“, „ამერიკასთან“ და „იუვენტუსთან“

პაპუნა კედია

ვინც არ იყიდება, ძალიან ძვირია!



REUTERS კუალა ლუმპურიდან

კორონ დაიერი ახლა მანჩესტერიდან ძალიან შორს, კუალა ლუმპურში აგორებს ბურთს

„მანჩესტერ იუნაიტედის“ სატრანსფერო ამბებზე ლაპარაკი დავიწყოთ იმით, რომ „ნიუკასლ იუნაიტედი“ სეზონისწინა შეკრებაზე მალაიზიაში მიდის. აზიაში გუნდთან ერთად მიემგზავრება ინგლისის ნაკრების წევრი კირონ დაიერიც, რომლის შეძენითაც თითქოს მანჩესტერელთა მენეჯერი, ალექს ფერგიუსონი იყო დაინტერესებული. ამასთან დაკავშირებით ნიუკასლელთა თავმჯდომარემ ფრედი შეფერდმა განაცხადა, დაიერი არ იყიდებაო და უარყო ჭორები, თითქოს არ იყიდება მანამ, სანამ ვინმე გადარეული 25 მილიონ გირვანქას ანუ 40 მილიონ დოლარს არ შესთავაზებს.

„ბუნებრივია, ფასი ყოველ ფეხბურთელს აქვს და ეს მაშინაც ასეა, როდესაც ვინმე ამა თუ იმ მოთამაშეს სასაცილოდ დიდ ფასს ადებს, — განაცხადა შეფერდმა — თუმცა დაიერი მაინც არ იყიდება“.

დაიერი ნიუკასლელთა მწვრთნელის, ბობი რობსონის რჩეულია, გუნდი კი მალაიზიაში ოთხთა ტურნირზე, ეგრეთ წოდებულ ფეხბურთის ასოციაციისა და აზიის ლიგის თასზე სათამაშოდ მიდის, სადაც მის გარდა იქნებიან „ბირმინგემ სიტი“, „ჩელსი“ და მალაიზიის ნაკრები.

ამასობაში კი „მანჩესტერ იუნაიტედის“ მენეჯერი, ალექს ფერგიუსონი აშშ-ში ადასტურებს, რომ ახალი სისხლი სჭირდება.

„არის ორი ან სამი ფეხბურთელი, რომელთა მიმართ ინტერესს ვიჩენთ, მაგრამ რონალდინიოს ამბის შემდეგ ნაჩქარევი ნაბიჯების გადადგმა არ გვინდა. ჩვენი პრობლემა ის არის, რომ როგორც კი ვინმე ფეხბურთელის გაყიდვას გადაწყვეტს, იმწუთას ააგორებს ჭორს, რომელშიც „მანჩესტერ იუნაიტედი“ ურევია. ამიტომ ახლა გაჩერება ვამჯობინეთ. ჯერჯერობით მდგომარეობას ვაანალიზებთ და მცირე ამოსუნთქვას ვაპირებთ“ — განაცხადა ფერგიუსონმა ამერიკაში შოტლანდიური „სელტიკის“ დამარცხების შემდეგ.

რაც შეეხება ზემოხსენებულ ცნობას დაიერის თაობაზე, ანუ ის, რომ ეს ფეხბურთელი არ იყიდება, ფერგიუსონისთვის, როგორც ჩანს, სხვა რამის მანიშნებელია:

„პრესაში ამაზე საუბარი გაგრძელდება, მაგრამ ტყუილი იქნება“.

პაპუნა კედია

გუნარის უნარი

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ „სელტიკი“ რომ გაანადგურა, ალექს ფერგიუსონი, ბუნებრივია, ფრიად კმაყოფილი დარჩა, მაგრამ უშუალოდ მატჩის შედეგზე მეტად სერ ალექსი ოლე გუნარ სოლსკიაერის თამაშმა გაახარა.

საქმე ის არის, რომ ნორვეგიელმა დევიდ ბექემის პოზიციაზე ითამაშა და ჩინებულად გაართვა თავი მოვალეობას. სოლსკიაერმა ერთი გოლი თავად შეაგდო, ხოლო ორი თანაგუნდელებს გაატანინა. გარდა ამისა, იგი მთელი მატჩის განმავლობაში შესამჩნევი ფიგურა იყო.

თავისი მორიგი წარმატებული ექსპერიმენტით გახარებულმა ფერგიუსონმაც საქებარი სიტყვები არ დაიშურა და ფეხბურთელს ხოტბა შეასხა: „ოლე უნივერსალური და ჭკვიანი ფეხბურთელია. იგი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშეა. მართალია, ადრე ის საუთადარიგო ფეხბურთელად გვყავდა, მაგრამ წლების განმავლობაში დახარჯული ენერგიითა და შრომით მან მიზანს მიაღწია. სწორედ დიდი გამოცდილების შედეგია, რომ ამ საღამოს იგი ასეთი შესანიშნავი იყო. როდესაც გყავს ფეხბურთელი, რომელსაც გააქვს გოლები და აკეთებს საგოლე პასებს, იფიქრე, რომ მისი ადგილი თავდასხმაშია, მაგრამ მან დაამტკიცა, რომ თამაში როგორც მარცხენა, ასევე მარჯვენა ნახევარმცველადაც შეუძლია.“

ფერგიუსონმა ისიც თქვა, მართალია, სოლსკიაერი 30 წლისაა, მაგრამ ისევ 23 წლის ფეხბურთელს ჰგავს და დიდი ფეხბურთის თამაშს კიდევ 5-6 წელი შეძლებსო.

მანჩესტერელთა თავკაცმა სოლსკიაერი მაინცდამაინც 23 წლის ფეხბურთელს იმიტომ შეადარა, რომ ნორვეგიელი სწორედ ამ ხნისა იყო, როდესაც „წითელ ეშმაკებს“ შეუერთდა.

სოლსკიაერის კარიერაში უმნიშვნელოვანესი გოლი კი უდავოდ 1999 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ბაიერნის“ კარში გატანილი ბურთია. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ „მანჩესტერმა“ უზარმაზარი პაუზის შემდეგ კვლავ მოიგო ჩემპიონთა თასი.

აქვე აღვნიშნოთ ისიც, რომ გლაზგოელებთან მატჩში წარმატებული დებიუტი ჰქონდა ფრანგ დევიდ ბელიონს. მან სულ რაღაც 12 წუთი დაჰყო მინდორზე და გოლიც გაიტანა.

ალექს ფერგიუსონმა ბელიონის დებიუტი ასე შეაფასა: „ბელიონი მხოლოდ 20 წლისაა და მიხარია მისი წარმატება. იგი ძალიან ნიჭიერია, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი უნდა ისწავლოს. დაახლოებით ორ წელიწადში ის თავის შესაძლებლობებს სრულად გამოავლენს.“

გიორგი ძაძაბაძე

REUTERS სიეტლიდან

დევიდ ვინ? — „იუნაიტედის“ ამერიკელ ქომაგ გოგონებს დევიდ ბექემი აღარც ახსოვთ

მეფის ცრემლი
დიახ, ის იყო, თავად დიეგო


მარადონა და კასტრო

„წმინდა იანუარი, დამაბრუნე ნეაპოლში!“ — თქვენი აზრით, ეს ვისი სიტყვებია? ვინმე დამაშვრალი სამხრეთ იტალიელის, სადმე ნისლიან ინგლისში თუ შვედეთში რომ მოუსროლია ბედის სიმუხთლეს თუ მუსოლინის ეთიოპიური კამპანიის მონაწილე მოხუცი ჯარისკაცის, გაუგებარი მიზეზების გამო რომელიმე აფრიკულ სოფელში რომ ჩარჩენილა და თავის უკანასკნელ დღეებს ითვლის? არც ერთის და არც მეორისა. ზემოხსენებულმა ვედრებამ ნეაპოლიტანური რადიოს, KISS KISS-ის ეთერში მაშინ გაიჟღერა, ოდეს ამ უკანასკნელის ჟურნალისტები თავისუფლების კუნძულ კუბაზე მყოფ დიეგო არმანდოს შეეხმიანენ.

მოგახსენებთ, რომ KISS KISS-მა 22 ივლისს მშვენიერი რადიომარათონი — სახელად MARADONA DAY ჩაატარა და ამ ღონისძიების დასასრულს კარიბის ზღვაში ჩაკარგული ძველი მარგალიტიც გამოძებნა. დიახ, ის იყო, თავად დიდი დიეგო, მარადონა რეი, ვინც ვეებერთელა ატლანტიკის ოკეანით დაშორებულ ნეაპოლს რადიოკავშირის მეშვეობით თვალზე ცრემლმომდგარი ესაუბრა.

„ნეაპოლი ჩემს სულში დანთებული უკვდავი ცეცხლია, ჩემი მეორე სამშობლო. ამ ქალაქთან საოცარი სითბო და სიყვარული მაკავშირებს“ — თქვა ასაკმოძალებულმა, მაგრამ მაინც მარად გაუხუნარმა მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდამ.

მეფე ახლა კუბაზეა, ამხანაგი ფიდელის გულითადი სტუმართმოყვარეობით სარგებლობს და იქაურ სარეაბილიტაციო ცენტრში კოკაინისა თუ მსგავსი ჯანდაბის მავნე სიყვარულისგან იკურნება.

ამ ბოლო ხანს, მსოფლიო პრესის ფურცლებზე ალაგ-ალაგ ელვასავით გაკრთება-ხოლმე კარიბის კლიმატის შესაფერისად ხალვათად ჩაცმული დიეგო არმანდო მარადონას ფოტოები, ჰავანას სანაპიროზე მდგარი შორეულ სივრცეს ნაღვლიანად რომ გასცქერის. იქ მისი დიდების ნეაპოლია, საოცნებო ადგილი, სადაც მრავალი ფანტასტიკური წუთი გაუტარებია და სადაც ახლა თავის ქალიშვილებთან ერთად საბოლოოდ დასავანება სურს.

„იტალიაში დალმასთან და ჯანინასთან ერთად დაბრუნებაზე ვოცნებობ, მაგრამ საუბედუროდ, ჯერ ვერ ხერხდება“ — აღნიშნა მარადონამ, რომელიც წმინდა იანუარის ქალაქს 1991 წელს იმ ოხერ ნარკოტიკებთან დაკავშირებულ დიდ სკანდალში გახვეული დაემშვიდობა.

„თუკი მე რამეში შევცდი, ჩემი ოჯახი რა შუაშია. დარწმუნებული იყავით, მათთან ერთად გეწვევით, აგრემც შემეწევა ჩემი მფარველი წმინდა იანუარი!“ — თქვა მარადონამ და კუბის რადიოსტუდიაში მხურვალე პირჯვარი გარდისახა. კეთილი ხსოვნისა და გულისხმიერებისთვის კი KISS KISS-ის ჟურნალისტებსა და საერთოდ, ყველა ნეაპოლიტანელს შესაბამისი მადლობა უძღვნა: „აქ, ამ კუნძულზე, თავს ბრწყინვალედ ვგრძნობ, პატივისცემა და დაფასება არ მაკლია, მაგრამ როგორც კი დამირეკეთ და მითხარით, ნეაპოლთან საუბარი გიწევსო, სულ სხვანაირი სიხარული ვიგრძენი. მადლობა თქვენ, რომ დიეგოს თამაში დღემდე გახსოვთ.“

და რომელი ნეაპოლელი ტიფოზი იქნება ისეთი ჩლუნგი, მარადონას ბურთაობა ერთხელ მაინც რომ ენახოს და მერე დავიწყებოდეს.

დიეგომ „ნაპოლის“ 1986-87 და 1989-90 წლების სეზონებში სერია A-ს ჩემპიონობა და უეფას თასი აჩუქა.

ამ ცრემლიანი, მაგრამ მაინც ღირსეული გასაუბრების ყველაზე გულისამაჩუყებელი და ამაღელვებელი ეპიზოდი მაინც დასკვნითი აწილი გამოდგა. ჟურნალისტებმა მარადონასთან პირდაპირ ეთერში საუბროდ ნეაპოლელ ტიფოზებს უხმეს. რეკავდნენ ფეხბურთელები, მსახიობები, ტელევიზიისა და პრესის წარმომადგენლები, რეკავდა უბრალო ხალხი, ვინც არგენტინულ ლეგენდას იტალიური სასწაულებისთვის გულითად მადლობას უხდიდა და ნეაპოლში მალე დაბრუნებას უსურვებდა.

ლადო ხომერიკი


ადრიანო გალიანის გუნდს კონკურენტი დაუსუსტდა

ეჰ, რომა, რომა
გალიანიმ სენსის დასცინა

„რომა“ და „ნაპოლი“ სეზონს რაღაც უიღბლოდ ეგებებიან — ერთიცა და მეორეც ჩემპიონატში ადგილის დაკარგვის საშიშროების წინაშე დგანან.

ეს ცუდი ამბავი მას მერე გახდა ცნობილი, რაც ორგანიზაცია COVISOC-მ, რომელიც კლუბების ფინანსებში იქექება, განაცხადა, რომ ამ ორის და კიდევ 23 ქვედალიგელის ფინანსური მდგომარეობა ნორმას არ შეესაბამება, ანუ ჩვეულებრივი ენით რომ ვთქვათ, არანორმალურია.

შემდეგ ასე მოხდება: დღევანდლამდე კლუბებს ჯერ კიდევ შეეძლოთ თხოვნები ჩამოეწერათ და ქვეყნის საფეხბურთო ლიგაში შეეტანათ, 28-ში კი კლუბები ვალდებულნი იქნებიან, მთელი ფინანსური დოკუმენტაცია წარადგინონ. 29-ში COVISOC ყველაფერს ჩაუჯდება, თხოვნებსაც და დოკუმენტებსაც, ხოლო 31-ში ფედერალური საბჭო საბოლოო განაჩენს გამოიტანს.

ერთი სიტყვით, „რომას“ 14 მილიონი ევრო აქვს მისატანი, საიდანაც უნდა, იქიდან. ამ თანხიდან 9 მილიონი დაგვიანებულ ხელფასებზე წავა, 900 ათასისა ჯარიმები გასწორდება, ხოლო 4 მილიონი ბანკებში მოაწესრიგებს არეულობებს, მაგრამ...

პრობლემის გამოსასწორებლად კლუბის წარმომადგენელი, მავანი დანიელე პრადე ირდინგში, გუნდის სეზონისწინა შეკრებაზე გაემგზავრა და ფეხბურთელებს ბოლო თვის ხელფასებზე უარის თქმა სთხოვა, რათა 9 მილიონი დაზოგილიყო, მაგრამ ფეხბურთელებმა თავიანთი წარმომადგენლის, დანიელე ტომაზის პირით უარი შემოუთვალეს.

დაახლოებით იგივე ხდება „ნაპოლიში“.

„იმედი მაქვს, რომ ეს ორი გუნდი სირთულეებს გადალახავს და ლიცენზიას მიიღებს“ — ცინიკურად განაცხადა საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ, რომელიც, მოგეხსენებათ, „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი და „რომას“ შეფის, ფრანკო სენსის მოძულეც გახლავთ.

პაპუნა კედია

ჯერ ყველამ გულში ჩაიხედეთ

ხალილუ ფადიგა

„ინტერის“ კარდიოლოგი, ბრუნო კარუ აცხადებს, რომ ხალილუ ფადიგას გულის პრობლემები აქვს და ამან შესაძლოა, ადრე თუ გვიან, თვით ფეხბურთელის სიცოცხლე ჩაგდოს საფრთხეში. ერთი სიტყვით, ფადიგას ახალ გუნდში თამაში პრობლემური გახდა და იგიც ყველაფრის თავიდან და თავისებურად შესამოწმებლად პარიზს, სხვა ექიმთან გაემგზავრა.

მოვიტანოთ დოქტორ კარუს სიტყვები, რომლებიც „გაძეტა დელო სპორტმა“ გამოაქვეყნა:

„ჩვენ მიგვაჩნია, რომ ფეხბურთელი მზად არ არის. ვფიქრობდი, რომ მისთვის შემოწმების შედეგების შეტყობა უშუალოდ ჩვენგან უფრო უპრიანი იქნებოდა, მაგრამ იგი სხვა სპეციალისტებისკენ გაეშურა. რა გაეწყობა, თუმც სხვათა დასკვნას ჩვენთვის მნიშვნელობა არ ექნება. ჩვენ მასზე ჯანმრთელიაო, ვერ ვამბობთ, რადგან მისი გულის ძგერა ფიზიკურ აქტიურობისგან დამოუკიდებლად, ნორმალური არ იყო“.

ამ საკითხმა, ბუნებრივია, ფრიად შეაშფოთა ფადიგას ყოფილი მწვრნთელი, ფრანგული „ოსერის“ თავკაცი გი რუ.

„ვერაფერს ვიტყვი, რადგან მისი შემოწმების შედეგები მაგიდაზე არ მიდევს, მაგრამ გული კი ძალიან მწყდება. ერთადერთი, რაც ჩემთვის იყო ცნობილი და რასაც მისი ტრანსფერისთვის შეიძლებოდა ხელი შეეშალა, გული კი არა, მუხლი გახლდათ“ — განაცხადა მოხუცმა.

მოგეხსენებათ, კონფედერაციათა თასზე კამერუნელი მარკ ვივიენ ფოეს ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ ფეხბურთელთა ჯანმრთელობის თემამ საგანგებო ელფერი მიიღო. შეგახსენებთ იმასაც, რომ 1996 წელს სწორედ მილანის „ინტერმა“ აღმოუჩინა ნიგერიელ ნვანკვო კანუს გულის სერიოზული დაავადება და ამის შემდეგ გაკეთებული ოპერაციის წყალობით იგი ცოცხლობს და დღემდე ბურთაობს კიდეც.

პაპუნა კედია

კევინ მიკი მაუსი ნამცეცებით აშენებს

კევინ კიგანის „მანჩესტერ სიტი“ პრემიერლიგის დაწყებამდე სერიოზულად შეიარაღდა. სიტელებმა ერთი თვის წინ „არსენალიდან“ დევიდ სიმენი გადაიყვანეს, წინა კვირაში „ვესტ ჰემს“ ტრევორ სინკლერი წაჰგვარეს, კიდევ უფრო ადრე კი „ბაიერნს“ — მიხაელ ტარნატი.

ამჯერად მიკი მაუსად წოდებულმა კევინ კიგანმა თვალი პოლ ბოსველტს დაადგა. „ფეიენოორდის“ 33 წლის ნახევარმცველი გუშინ ინგლისში ჩაფრინდა და პირად ჯამაგირზე თუ შეთანხმდებიან, ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

პოლ ბოსველტმა როტერდამში ექვსი სეზონი გაატარა. 1999-ში ქვეყნის ჩემპიონი გახდა 2002-ში კი უეფას თასიც აღმართა. ჰოლანდიელს გლაზგოს „რეინჯერსიც“ ეპატიჟებოდა, მაგრამ მან ინგლისი არჩია.

„ამბობენ, თითქოს „ფეიენოორდში“ მწვრთნელთან პრობლემები მაქვს და გუნდიდან ამიტომ მიდივარ, მაგრამ ეს სრული სიცრუეა. მე მწვრთნელს ვესაუბრე და ჩვენს შორის ყველაფერი მოგვარდა. „მანჩესტერ სიტის“ ვარიანტიც მისი დახმარებით გაიჩარხა და, ვიმედოვნებ, რომ პირობებზე შევთანხმდებით“.

33 წლის ფეხბურთელმა „ფეიენოორდის“ მაისურით 177 მატჩი ჩაატარა და 33 გოლი მიითვალა.

ვაჟა ხუციშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულო, ცოდვილო
უძლებმა აიალამ ვალენსია ბოდიშებით აავსო



ესპანური „ვალენსიას" არგენტინელი ცენტრალური მცველი რობერტო ფაბიან აიალა საფეხბურთო სამყაროს მონანიე ცოდვილად წარუდგა. ორი კვირის წინ, ოდეს „ბარსელონას" დაინტერესების ობიექტს წარმოადგენდა, აიალამ თავისი ახლანდელი კლუბის მისამართით მაგარ-მაგარი სიტყვები არ დაიშურა. მაშინ არგენტინელი „ბარსას" ყველა . გუნდზე მაღლა აყენებდა და „ვალენსიას" ხელმძღვანელობას ქედმაღლურად უთხრა — უკეთეს კლუბში გადასვლის ღირსი ვარ და სატრანსფერო ვოიაჟში ხელი არ შემიშალოთო.

მერე კატალონიური მიზნები შეიცვალა და აიალაც მიხვდა, რომ უძლები შვილის როლს საკმაოდ უხეიროდ თამაშობდა.

„ასეთი რალაცეები „ბარსასთან" დაკავშირებული სატრანსფერო ეიფორიის გამო წარმოვთქვი. ლაპორტას გუნდს ჩემი შეძენა სურდა, მაგრამ მე არასოდეს მიფიქრია, ჩემი კლუბისა და გულშემატკივრებისთვის შეურაცხყოფა. მსურს, კარიერა „ვალენსიაში" დავასრულო" — განაცხადა ბარსელონური ბახუსისგან გამოფხიზლებულმა ფეხბურთელმა.

არგენტინის ნაკრების კაპიტანი განაწყენებულ ინჩასებს პატიებასაც სთხოვს: „მესტალიაზე" მოსული გულშემატკივრები ყოველთვის დიდებულად მეპყრობოდნენ და სტადიონის გარეთაც დიდ პატივისცემას ვგრძნობდი. არავის ეგონოს, რომ მე „ვალენსიასთვის" რაიმე ზიანის მიყენება მინდოდა. იმედია, ჩემი დაუფიქრებელი სიტყვის გამო ინჩასებთან ურთიერთობა არ გამიუარესდება."

ბოლო ხანს ისიც ითქვა, აიალათი მადრიდის „რეალის" თავკაცობა დაინტერესდაო (მას მერე, რაც კასტილიელებმა მისივე თანამემამულე მილიტო მუხლის სისუსტის გამო დაიწუნეს), რაზეც არგენტინელმა მეტად ფრთხილად თქვა, ცოტა ხანში ქვეყანას ჩემი შვილი მოევლინება და მინდა, იგი ვალენსიაში დაიბადოს, რის გამოც ნებისმიერ შემოთავაზებაზე უარს ვიტყვიო.

ამასობაში კი „ვალენსია" სამომავლო პრიმერასთვის გამალებულ მზადებაშია. რაფაელ ბენიტესმა იმ 34 ფეხბურთელის მოუყარა თავი, რომელთაც 2003-2004 წლების სეზონში „ღამურათა" სასახელოდ გარჯა დაევალებათ.

ლადო ხომერიკი

ვალენსიას განაცხადი. 2003-2004

მეკარეები: *სანტიაგო კანისარესი, ანდრეს პალოპი, ჯონათან ლოპესი, დავიდ რანგელი;*

მცველები: *რობერტო აიალა, მაურისიო პელეგრინო, დავიდ ნავარო, კარლოს მარჩენა, ამადეო კარბონი, ფაბიო აურელიო, კურო ტორესი, ხავიერ გარიდო, რობერტო ამარილია, ვისენტე ვერდეხო;*

ნახევარმცველები: *დავიდ ალბელდა, რუბენ ბარახა, პაბლო აიმარი, ფრანსისკო რუფეტე, ვისენტე როდრიგესი, კილი გონსალესი, გონსალო დე ლოს სანტოსი, დენის სერბანი, ლივერო პარი, მიგელ ალბიოლი, ხაიმე გავილანი;*

თავდამსხმელები: *იონ კარეუ, ხუან სანჩესი, მიგელ ანხელ მისტა, მიგელ ანხელ ანგულო, სალვა ბალესტა, დიეგო ალონსო, ხისკო მუნიოსი, მოჰამედ-ლამინ სისოკო, ბორხა*

შვეიცარია

სუპერლიგა. II ტური

იანგ ბოისი 2:3 ბაზელი

0:1 ხიმენესი (20), 1:1 ლეანდრო (27), 2:1 მანინი (47), 2:2 სტრელერი (71), 2:3 ესპოზიტო (75)

ვილი 1:1 თუნი

1:0 ლუსტრინელი (20), 1:1 მილიჩევიჩი (32)

სერვეტი	2	2	0	0	4:1	6
ქსამაქსი	2	2	0	0	3:0	6
ბაზელი	2	2	0	0	5:3	6
აარაუ	2	1	1	0	3:2	4
იანგ ბოისი	2	1	0	1	6:4	3
თუნი	2	0	2	0	2:2	2
ვილი	2	0	1	1	2:4	1
ციურიხი	2	0	0	2	1:3	0
გრასჰოპერი	2	0	0	2	1:3	0
სენტ გალენი	2	0	0	2	1:6	0

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

უკრაინა

მე-3 ტური: დინამო — არსენალი 3:0; ბორისფენი — შახტარი 0:1; ვორსკლა — ტავრია 0:0; მეტალურგი (დ) — ვოლინი 1:0; ზირკა — დნიპრო 0:3; კარპატი — მეტალურგი (ზ) 1:0; ილიჩევეცი — ჩერნომორეცი 1:2; ობოლონი — კრივბასი 1:1

შახტარი	3	3	0	0	8:0	9
დნიპრო	3	3	0	0	9:1	9
დინამო	3	2	0	1	8:2	6
კარპატი	3	2	0	1	6:5	6
ჩერნომორეცი	3	2	0	1	3:2	6
მეტალურგი (დ)	3	1	2	0	4:3	5
ობოლონი	3	1	1	1	3:3	4
კრივბასი	3	1	1	1	3:5	4
არსენალი	3	1	0	2	2:5	3
ზირკა	3	1	0	2	1:4	3
მეტალურგი (ზ)	3	1	0	2	1:4	3
ტავრია	3	0	3	0	2:2	3
ილიჩევეცი	3	0	2	1	4:5	2
ვორსკლა	3	0	2	1	2:6	2
ვოლინი	3	0	1	2	3:8	1
ბორისფენი	3	0	0	3	0:4	0





ჟულიო სეზარს შანსი მიეცა, ხორხე ვალდანოს კი თავსატეხი

ხორხე ვალდანო ცოცხით!
რეალში ბლომად ნაგავი დაგროვებულა

მადრიდის „რეალის" პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს მოთმინების ფიალა აევსო. „ასე გაგრძელება აღარ შეიძლება!" — ხმამაღლა განუცხადა მან თავის სპორტულ დირექტორ ხორხე ვალდანოს.

პერესი „სამეფო კლუბში" მომრავლებულ არხეინ ფეხბურთელთა კატეგორიას გულისხმობდა, რომელთა მსუყე ხელფასებისა და პრემიების გამო გუნდში ახალი ტრანსფერების განხორციელება ძნელდება.

გუშინდლიდან კი ვალდანოს საკმაოდ მძიმე მისია დაეკისრა — მან უნდა გადახედოს ალბერტ სელადესის, ფლავიო კონსეისაოს, პედრო მუნიტისის, სტივ მაკმანამანის და მათ მსგავსთა „საქმეებს", განიხილოს „რეალში" მათი ყოფნის სათუობა და ნელ-ნელა მიაბრძანოს „სანტიაგო ბერნაბეუდან" (ჩვენს მიერ დასახელებულ ფეხბურთელთა გვარები უშუალოდ სენიორ პერესის პირიდან წარმოითქვა).

„რეალის" პრეზიდენტის მადრიდულ „ასთან" ნათქვამ სიტყვებსაც მოვუსმინოთ: „უკვე დავიღალე გუნდში ისეთი ფეხბურთელების ყოლით, რომლებიც თამაშით დიდად არ იწუხებენ თავს და სოლიდური ანაზღაურება კი აქვთ. მათი პრეტენზიებიდან გამომდინარე, იძულებული ვართ, „რეალის" ახალი ცენტრალური მცველის შესაძენად დიდი ვაჭრობა გავმართოთ."

მძიმე კი ვალდანოს მისია აი, რატომ არის: „ხორხემ ამ ორი წლის წინაც მსგავსი რამ მოინდომა, მაგრამ იმხელა იურიდიულ სირთულეებსა და ადვოკატურ პერიპეტიებს წააწყდა, რომ „რეალის" გაცხრილვაზე ხელი ჩაიქნია" — განმარტა პრეზიდენტმა.

ახლა ვალდანო მომავალს უფრო იმედიანად შეხ... ქერის და ფლორენტინოს ბრძანების შესრულებას დამდეგი პრიმერას დაწყებამდე აპირებს. ასე რომ, ფერნანდო იეროსა და უიღბლო გაბრიელ მილიტოს შემცვლელი „სამეფო გუნდში" აუცილებლად შივა. ვალდანომ ტრანსფერის აღსრულების სავარაუდო თარიღიც დაასახელა — აგვისტოს ბოლო კვირა.

პერესის დირექცია ეშმაკურ ხერხს მიმართავს — მცირე ხნით მოიცდის, ვიდრე „რეალთან" ვაჭრობის მოსურნე კლუბების ეიფორია ჩაცხრება და მომავალი თვის ბოლოს რომელიმე ფეხბურთელთან სარფიან კონტრაქტსაც გააფორმებს.

ახლა კი კასტილიური გრანდის ოფისში ტელეფონს ცეცხლი უკიდია. გუშინწინ, მაგალითად, 15-მა საფეხბურთო აგენტმა დარეკა და კლიენტები შესთავაზა, ოღონდ რახან „რეალია", ყველა ზღაპრულ ფასად.

ისე, ამბობენ, მადრიდელთა ლუზიტანიელ დამრიგებელ კარლოს კეიროშს დაცვის ცენტრში მიუნხენის „ბაიერნის" განელი ფეხბურთელი სამუელ კუფური უნდაო, მაგრამ გერმანიიდან ამ ეტაპზე სავაჭრო ჩქამიც კი არ ისმის.

იმ შემთხვევაში კი, თუ ვალდანო გუნდის „გასუფთავებას" უწინდებურად თავს ვერ მოაბამს და არხეინი ხალხი კვლავაც „ბერნაბეუზე" დარჩება, ფლორენტინო პერესი საგარეო ტრანსფერებზე უარს იტყვის და კასტილიელთა დაცვის ბურჯი ძველი რეალელი, ბრაზილიელი ჟულიო სეზარი შეიქნება.

ლადო ხომერიკი

მანსანომ ღირსეული დაიჭირა
დედაქალაქში ოფლის დამღვრელი მივიდა



პრიმერადივიზიონის დასრულების შემდეგ სამეფო თასისთვის ერთმანეთს „მალიორკა" და „უელვა" შეხვდნენ. კუნძულელებმა იმ მატჩში გაიმარჯვეს და თასსაც დაეპატრონენ. წინა სეზონში გუნდის წარმატების შემოქმედი მწვრთნელი გრეგორიო მანსანო გახლდათ. მისი თავკაცობით „მალიორკამ" სეზონი მეცხრე ადგილზე დაასრულა და სამეფო თასის მოგებით უეფას თასის საგზური მიიღო.

ამჟამად მალიორკელები უმწვრთნელოდ არიან. გრეგორიო მანსანოს ჯერ კიდევ სამეფო ფინალამდე, მადრიდის „ატლეტიკო" ეკურკურებოდა. გეხსომებათ, ორიოდ კვირის წინ მადრიდელთა თავკაცი ლუის არაგონესი გაათავისუფლეს და მის ადგილზე მალიორკელი მიიწვიეს.

გუშინ გრეგორიო მანსანოსა და დედაქალაქურ კლუბს შორის ოფიციალური კონტრაქტი გაფორმდა და შემოდგომიდან „ატლეტიკოს" ახალი მწვრთნელი გაუძღვება.

„ესპანური ფეხბურთის ისტორიაში „ატლეტიკოს" ღირსეული ადგილი უჭირავს და ჩემთვის აქ მუშაობა უდიდესი პატივია. მომავალი სეზონიდან ფეხბურთელებთან ერთად შევეცდები, რომ გუნდს ძველი დიდება დავუბრუნოთ. საამისოდ ბლომად ოფლის ღვრა მოგვიწევს" — თქვა „ატლეტიკოს" ახალგამომცხვარმა მწვრთნელმა, რომელსაც „ვალიადოლიდში", „რასინგსა" და „რაიო ვალეკანოში" უმუშავია.

გაგა ხუციშვილი

ყველაზე დრამატული ტრანსფერის გახსენება ტრანსფერების ჟამს

სამი წლის წინ, ზუსტად ამ დღეს, 24 ივლისს, ლუიშ ფიგუ „ბარსელონადან“ „რეალში“ გადავიდა. გახსოვთ, რა ხმაური იყო?! რა დაგავიწყებდათ!

„ბარსელონადან“ „რეალში“ და „რეალიდან“ „ბარსელონაში“ ფიგუმდეც გადასულან ფეხბურთელები, მაგრამ ასეთი ხმაური არც ერთ ტრანსფერს არ მოჰყოლია.

ფიგუს მერე „რეალმა“ იყიდა ზინედინ ზიდანი, რონალდო და დევიდ ბექემი, თუმცა არც მათი ტრანსფერები ყოფილა ფიგუსნაირი





აი, ხმაური მაშინ იყო

„რეალში“ გადასვლამდე ხუთი წლით და ხუთი დღით ადრე, ლუიშ ფიგუ ბარსელონელი გახდა. კატალონიელებმა მასში 200 მილიარდი პესეტი გადაიხადეს.

ფიგუ მაშინვე კატალონიის კერპი გახდა და მთელი ხუთი წელი ასე გრძელდებოდა.

ფიგუ სულით ხორცამდე ბარსელონელი იყო და როცა „ბარსამ“ 1998-99 წლების სეზონში პრიმერა-დივიზიონი მოიგო და ფიგუმ მაშინდელ დიდ კაპიტანთან, ხოსეპ გვარდიოლასთან ერთად საჩემპიონო თასი აღმართა, ჭეშმარიტად ბარსელონური სიტყვა თქვა: „თეთრო ლაქებო, მოგვილოცეთ ჩემპიონობა.“

თეთრ ლაქებად, მოგეხსენებათ, ვისაც მოიხსენიებდა.

2000 წლის 15 ივლისს ფიგუმ ბარსელონურ „სპორტს“ უთხრა, არ დაიჯეროთ, თითქოს ფლორენტინო პერესს „რეალში“ გადასვლაზე დავთანხმდიო: „ჩემს მომავალს თავად გადავწყვეტ. უფრო სწორად, უკვე გადავწყვიტე. მე „ბარსელონაში“ ვთამაშობ და მომავალშიც „ბარსაში“ ვითამაშებ, რადგან ასე მსურს! სულაც არ მინდა, „რეალი“ გავაძლიერო.“

როცა ფიგუ ამას ამბობდა, პერესთან წინასწარ შეთანხმებაზე ხელი მოწერილი ჰქონდა.

2000 წლის 24 ივლისი: ცხრა დღის მერე, რაც ფიგუმ „ბარსელონას“ ერთგულება დაიფიცა, ის „რეალის“ ფეხბურთელად წარადგინეს.

მეორე დღეს მადრიდულ „მარკას“ თავფურცელზე, ქვედა ნაწილში, ფიგუს ცხრა დღით ადრე ნათქვამი ეწერა, სათაური კი მკითხველს ამცნობდა: „ფიგუმ მოიტყუა“.

იმავე წლის 21 ოქტომბერს „რეალი“ ბარსელონაში სათამაშოდ ჩავიდა. ფიგუს ნათქვამი ჰქონდა, რომ „კამპ ნოუზე“ დაბრუნება არ უნდოდა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა.

აი, რას წერდა თამაშის დღეს „სპორტი“: „რაც ფიგუმ ჩვენ გაგვიკეთა, დღეს საღამოს ათმაგად გადავუხდით. მას მივახვედრებთ, რომ ცხოვრებაში ყველაფერი ფულზე არ იყიდება, მით უმეტეს, რომ „ბარსელონაში“ ძალიან კარგად უხდიდნენ. როცა დღეს ის 90 ათას თეთრ ცხვირსახოცს დაინახავს და „პესეტეროს“ ძახილი შემოესმება, იქნებ მიხვდეს კიდეც, როგორი საბედისწერო და უპატიებელი შეცდომა დაუშვა.

„კამპ ნოუზე“ მას ის ხალხი დახვდება, რომლებიც ხუთი წლის მანძილზე აღმერთებდნენ და მისი გავარსკვლავების თვითმხილველები იყვნენ. ვარსკვლავად კი ის „ბარსელონამ“ გახადა.

ის 22 წლის იყო, როცა ჩვენთან მოვიდა და მაშინვე ვამბობდით, რომ დიდი ფეხბურთელი გახდებოდა. ჩვენ გვიხაროდა მისი ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი, მან კი ყველაზე საზიზღარი ფორმით გვიღალატა. მისი ერთადერთი ინტერესი ფული ყოფილა.

ალბათ დადგება ის დღეც, როცა ასევე იოლად უღალატებს „რეალსაც“. იქამდე კი ჩვენ მას ვაფრთხილებთ: მოემზადე შურისძიებისთვის!“

რაც იმ საღამოს „კამპ ნოუზე“ ხდებოდა, ისტორია არასდროს დაივიწყებს.

ფიგუს უჩვენებდნენ შუა თითს...

ფიგუს უძახდნენ მოღალატეს...

უმტკიცებდნენ, რომ ის „პესეტერო“ იყო...

მის პორტრეტს ფულზე ახატავდნენ...

და როცა ფიგუმ ყურებში თითები გაირჭო, „კამპ ნოუ“ სულ მთლად გადაირია.

ფიგუს უძახდნენ, რომ ის ყარდა...

ჩვენ გვიყვარს რივალდო, ფიგუს დედაც...

ფიგუ, შენ... მოკლედ, რას აღარ უძახდნენ.

ლუიშ ფიგუმ მაშინ ყველაფერი აიტანა, მაგრამ ხეირიანად თამაში კი ვეღარ შეძლო.

კოტე კეკელია

გერმანული ტრანსფერები 2003

ბაიერნი

მოვიდნენ

რაუ (ვოლფსბურგი)
დემიკელისი (რივერ პლეიტი, არგენტინა)

წავიდნენ

ნ. კოვაჩი (ჰერტა)
ტარნატი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი)
ვესელსი (კიოლნი)
ფინკი (სარეზერვო გუნდში)
დრეერი (თამაში მიატოვა)

შტუტგარტი

მოვიდნენ

ვრანიეში (ლევერკუზენი)
საბიჩი (შტურმი, ავსტრია)
ლამი (ბაიერნი მ.)
კაკაუ (ნიურნბერგი)
რასიევსკი (ზანკტ პაული)
ჰაინენი (დენიზლი, თურქეთი)

წავიდნენ

განია (ბურსა, თურქეთი)
მათიას ლემანი (მიუნხენი)
თ. ერნსტი (კაიზერსლაუტერნი)
ზაიცი (შალკე)
ბალაკოვი (თამაში მიატოვა)
ტოდტი (თამაში მიატოვა)
კარნელი (მიონხენგლადბახი)
დანდი (აუსტრია, ავსტრია)

დორტმუნდი

მოვიდნენ

მ. მეცელდერი (მიუნსტერი)
ნ. იენსენი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი)
სენესიე (მოყვარულთა გუნდიდან)

წავიდნენ

ჰაინრიხი (კიოლნი)
ხ. ფერნანდესი (?, არგენტინა)

ჰამბურგი

მოვიდნენ

იაროლიმი (ნიურნბერგი)
რაინჰარდტი (არმინია)
ა. მაიერი (ზანკტ პაული)
ბაინლიხი (ჰერტა)
შლიკე (ფიურტი)
კ. სტრაიტი (მოყვარულთა გუნდიდან)
ბრიოკერი (მოყვარულთა გუნდიდან)
ლაასი (მოყვარულთა გუნდიდან)
სენი (მოყვარულთა გუნდიდან)

წავიდნენ

ჰაინცი (ბანიკი, ჩეხეთი)
კრისტენსენი (ტვენტე, ჰოლანდია)
ჰერჩი (ლევერკუზენი)
მეიერი (ალემანია)
გროთი (ლიუბეკი)
ბაური (პაშინგი, ავსტრია)
ალბერტაცი (შანხაი შენხუა, ჩინეთი)
ანტარი (ფრაიბურგი)
ჰილდებრანდი (ჰოფენჰაიმი)
კიცბიხლერი (აუსტრია, ავსტრია)
კეტელაერი (მიონხენგლადბახი)

ჰერტა

მოვიდნენ

ნ. კოვაჩი (ბაიერნი)
ბობიჩი (ჰანოვერი)
ვიშნიარეკი (არმინია)
ფატი (მოყვარულთა გუნდიდან)
ჩაჰედი (მოყვარულთა გუნდიდან)
ლუდვიგი (მოყვარულთა გუნდიდან)

წავიდნენ

ალვეში (ატლ. მინეირო, ბრაზილია)
ბაინლიხი (ჰამბურგი)
მაასი (დუისბურგი)
პრეეცი (თამაში მიატოვა)
სვერისონი (?, ისლანდია)
კიოლერი (ესენი)
ნენე (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ტრეჩოკი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ნედზიპი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ვერდერი

მოვიდნენ

დავალ უმითი (ინტერი, იტალია)
ისმაელი (სტრასბური, საფრანგეთი)
რაინკე (მურსია, ესპანეთი)
ველაგე (უნიონი)
როლფსი (როიტლინგენი)
ვუორინენი (ჯაზი, ფინეთი)

წავიდნენ

ვერლაატი (აუსტრია, ავსტრია)
ტიკუზუ (ჰანზა)
ვიერხოვსკი (პლოცკი, პოლონეთი)
ბარტენი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

გერმანიის თურქობას აწ ვერდერელი დავალა უმითიც შეემატა

შალკე

მოვიდნენ

კობიაშვილი (ფრაიბურგი)
ალკიდესი (ბაია, ბრაზილია)
ზაიცი (შტუტგარტი)
ციომერი (ტვენტე, ჰოლანდია)
ჰამიტ ალტინტოპი (ვატენშაიდი)

წავიდნენ

ვილმოტსი (თამაში მიატოვა)
მიოლერი (თამაში მიატოვა)
ჰაიმეროტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
იუნლუ (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ვოლფსბურგი

მოვიდნენ

ტოპიჩი (კოტბუსი)
დალესანდრო (რივერ პლეიტი, არგენტინა)
გ. ფერნანდესი (რივერ პლეიტი, არგენტინა)
ჰრგოვიჩი (შიროკი ბრიაგი, ბოსნია)
იენჩი (მიუნხენი)
ა. სტრაიტი (აინტრახტი)

წავიდნენ

პ. მადსენი (ბოხუმი)
რაუ (ბაიერნი)
ეფენბერგი (ალ-არაბი, ყატარი)
პონტე (ლევერკუზენი)
ი. კრისტიანსენი (რეინჯერსი, შოტლანდია)
მ. მადსენი (ფარუმი, დანია)
დ. მუნტიანუ (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გრაინერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ბოხუმი

მოვიდნენ

პ. მადსენი (ვოლფსბურგი)
ბ. გუდიონსონი (სტოკი, ინგლისი)
ცდებელი (გენჩლერი, თურქეთი)
დიაბანგი (არმინია)
ბიონიგი (დუისბურგი)

წავიდნენ

რაისი (აუგსბურგი)
თ. კრისტიანსენი (ჰანოვერი)
გრაულუნდი (ორჰუსი, დანია)
შინდილორკი (კიოლნი)
იოპე (უნიონი)
მანდრეკო (მატერსბურგი)

არგენტინელ ანდრეს დალესანდროს დიდ კლუბებს უწინასწარმეტყველებდნენ, თავი კი უსახელო „ვოლფსბურგში“ ამოჰყო

მიუნხენი

მოვიდნენ

კიუფნერი (ბურგჰაუზენი)
ლეპოინტი (ანდერლეხტი, ბელგია)
საარინენი (რუსენბორგი, ნორვეგია)
მათიას ლემანი (შტუტგარტი)
კენდრიკი (ნიუკასლი, ინგლისი)
ლენცი (კოტბუსი)
კიოიო (კიოლნი)
რიხტერი (იზმანინგი)
ბეიერი (მოყვარულთა გუნდიდან)

წავიდნენ

მაქსი (ჰანზა)
იენჩი (ვოლფსბურგი)
პფუდერერი (უნიონი)
რაფაელ და სილვა (ნიურნბერგი)
ელერსი (აუგსბურგი)
ჰესლერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ვოტავა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
შუკერი (თამაში მიატოვა)

გლადბახი

მოვიდნენ

კეტელაერი (ჰამბურგი)
სვერკოსი (ბანიკი, ჩეხეთი)
ოჯიგვე (ლევერკუზენი)
კოლკა (პანათინაიკოსი, საბერძნეთი)
კარნელი (შტუტგარტი)
კირხი (ფერლი)

წავიდნენ

ფელგენაუერი (აალენი)
ფორსელი (ჩელსი, ინგლისი)
კამპსი (თამაში მიატოვა)
ბაუმერი (მიუნსტერი)
ვიტეჩეკი (იურდინგენი)
კიუნცელი (არმინია)
მიუნხი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
შტასინი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ჰანზა

მოვიდნენ

პლასნეგერი (ვალდჰოფი)
მაქსი (მიუნხენი)
ტიკუზუ (მიუნხენი)
მელკამი (კარლსრუე)
შულცი (ფარუმი, დანია)
ბირანი (ტენის ბორუსია)

წავიდნენ

ჰირში (დუისბურგი)
იაკობსონი (ბრონდბიუ, დანია)
ვიბრანი (იოსტერი, შვედეთი)
ლანგე (თამაში მიატოვა)
სალუ (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ლაუტერნი

მოვიდნენ

კოსოვსკი (ვისლა, პოლონეთი)
ნურმელა (ჰერენვენი, ჰოლანდია)
ჰალილ ალტინტოპი (ვატენშაიდი)
თ. ერნსტი (შტუტგარტი)
ვრევენი (უტრეხტი, ჰოლანდია)
გაბრიელი (ტეპლიცე, ჩეხეთი)
ვიტიხი (მოყვარულთა გუნდიდან)
მიხაელ ლემანი (მოყვარულთა გუნდიდან)

წავიდნენ

ჰ. კოხი (ტრირი)
ბასლერი (ალ-იტიჰადი, ყატარი)
ტ. კლოსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
აჯიჩი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გ. კოხი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ჰანოვერი

მოვიდნენ

შიმაკი (ლევერკუზენი)
ბრდარიჩი (ლევერკუზენი)
დაბროვსკი (არმინია)
ციგლერი (აუსტრია, ავსტრია)
შრიოტერი (კოტბუსი)
თ. კრისტიანსენი (ბოხუმი)
პფინგსტენი (მოყვარულთა გუნდიდან)

წავიდნენ

ბობიჩი (ჰერტა)
პოპესკუ (თამაში მიატოვა)
კ. ლინკე (თამაში მიატოვა)
ოსვალდი (დუისბურგი)
ნორბაუერი (ზაარბრიუკენი)
კეისი (კარლსრუე)
სივერსი (თამაში მიატოვა)
ვან ჰინტუმი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
შულერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ოხსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ლევერკუზენი

მოვიდნენ

კრუინოვეკი (ნიურნბერგი)
ბერბეროვიჩი (სარაევო, ბოსნია)
ლუკიჩი (ლიდსი, ინგლისი)
ჰერჩი (ჰამბურგი)
ჯ. ჯოუნსი (აინტრახტი)
პონტე (ვოლფსბურგი)
ფრიცი (კარლსრუე)

წავიდნენ

შიმაკი (ჰანოვერი)
ბრდარიჩი (ჰანოვერი)
ვრანიეში (შტუტგარტი)
ბ. ჟივკოვიჩი (პორტსმუთი, ინგლისი)
ცეპეკი (კარლსრუე)
კრისი (კრუზეირო, ბრაზილია)
კლაინი (ფიურტი)
ოჯიგვე (მიონხენგლადბახი)
ელ კასმი (დუისბურგი)

კიოლნი

მოვიდნენ

ჰაინრიხი (დორტმუნდი)
დოგანი (ფენერბაჰჩე, თურქეთი)
ვორონინი (მაინცი)
შინდილორკი (ბოხუმი)
ებერსი (დუისბურგი)
ვესელსი (ბაიერნი)
პოლაკი (იზმანინგი)
ნიდრიგი (მოყვარულთა გუნდიდან)

წავიდნენ

ცელვეგერი (სენტ გალენი, შვეიცარია)
კურტი (დუისბურგი)
კროიცი (აინტრახტი)
პრიოლი (აინტრახტი)
კიოიო (მიუნხენი)
უედრაოგო (ობერჰაუზენი)
ა. არველაძე (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ფრაიბურგი

მოვიდნენ

ანტარი (ჰამბურგი)
კაირო (ტვენტე, ჰოლანდია)
კრუპკე (ლიუბეკი)
ჰოლმანი (მოყვარულთა გუნდიდან)
გიასულა (მოყვარულთა გუნდიდან)

წავიდნენ

კობიაშვილი (შალკე)
კრუზე (დუისბურგი)
ანიჩიჩი (დარმშტადტი)
დრეიერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

აინტრახტი

მოვიდნენ

ჩიპი (გენტი, ბელგია)
დუ რი ჩა (არმინია)
პრიოლი (კიოლნი)
ლექსა (ტენერიფე, ესპანეთი)
კროიცი (კიოლნი)
ფრომერი (როიტლინგენი)
პულიჟი (ჰაიდუკი, ხორვატია)
დრაგუშა (ტრირი)
ვაისენფელდი (მოყვარულთა გუნდიდან)

წავიდნენ

ვივიანი (გრემიო, ბრაზილია)
ჯ. ჯოუნსი (ლევერკუზენი)
ვენცელი (აუგსბურგი)
დიაკიტე (ნიცა, საფრანგეთი)
ა. სტრაიტი (ვოლფსბურგი)
კრიშალოვიჩი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბრანკო (კონტრაქტი დაუმთავრდა)

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

კროკოს თბილისურ ბიუროებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერი ვალუტით

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ჩეხეთი. I ტური						
		26 ივლისი						
17.25	001	ტეპლიცე-სპარტა	3,0	3,1	2,3	1,52	1,3	1,32
20.15	002	პრჟიბრამი-იაბლონეცი	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
20.15	003	სიგმა-ზლინი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
20.15	004	სლავია-ჟიჟკოვი	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
		28 ივლისი						
19.40	005	ბანიკი-ბუდეიოვიცე	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
		სლოვაკეთი						
		II ტური						
		26 ივლისი						
21.00	006	დუბნიცა-ბ.ბისტრიცა	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
21.00	007	სლოვანი-ტრენჩინი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
	008	სლოვანი-ტრენჩინი 0:1	1,9	3,2	2,7			
21.00	009	რუჟომბეროკი-ინტერი	2,3	3,2	3,1	1,33	1,32	1,57
21.00	010	პუხოვი-ტრნავა	1,95	3,3	3,5	1,22	1,25	1,69
23.00	011	ჟილინა-პეტრჟალკა	1,75	3,4	4,2	1,15	1,23	1,87
		დანია. I ტური						
		26 ივლისი						
20.00	021	ოლბორგი-კოპენჰაგენი	3,2	3,2	2,15	1,6	1,28	1,28
		27 ივლისი						
18.00	022	ესბიერგი-ორჰუსი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
18.00	023	ნორდსიელანდი-აკადემისკი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
18.00	024	მიდტიულანდი-ვიბორგი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
18.00	025	ოდენსე-ფრემი	1,45	4,0	6,5	1,06	1,18	2,47
	026	ოდენსე-ფრემი 0:1	2,05	3,2	2,45			
20.35	027	ბრიონდბიუ-ჰერფიოლგე	1,4	4,2	7,0	1,04	1,16	2,62
	028	ბრიონდბიუ-ჰერფიოლგე 0:1	1,95	3,2	2,6			
		ავსტრია. I ტური						
		26 ივლისი						
21.00	035	მატერსბურგი-შტურმი	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შვეიცარია. III ტური						
		26 ივლისი						
22.30	038	ბაზელი-ქსამაქსი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
	039	ბაზელი-ქსამაქსი 0:1	1,9	3,2	2,7			
22.30	040	სერვეტი-თუნი	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
22.30	041	სტ.გალენი-აარაუ	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
22.30	042	იანგ ბოიზი-ციურიხი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
		შვედეთი. XV ტური						
		24 ივლისი						
23.00	090	ჰალმსტადი-გიოტებორგი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
		ფინეთი. XIV ტური						
		26 ივლისი						
19.00	107	იარო-კუოპიო	1,8	3,4	3,8	1,17	1,22	1,79
		27 ივლისი						
18.00	108	ჰიკ-ინტერი	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
20.30	109	ჯაზი-ლაჰტი	2,1	3,3	3,2	1,28	1,26	1,62
		28 ივლისი						
20.30	110	იოკერიტი-ჰაამეენლინა	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
20.30	111	ტურკუ-ჰაკა	4,2	3,4	1,75	1,87	1,23	1,15
		ბრაზილია. XXI ტური						
		24 ივლისი						
24.00	121	კურიტიბა-ვიტორია	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
24.00	122	სან პაულუ-პონტე პრეტა	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
	123	სან პაულუ-პონტე პრეტა 0:1	1,9	3,2	2,7			
24.00	124	ფლამენგო-ინტერნაციონალი	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6
24.00	125	სან კაეტანო-ფლუმინენსე	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
24.00	126	გრემიო-კრიკიუმა	2,05	3,2	3,4	1,24	1,27	1,64
		საფრანგეთი. სუპერთასი						
		26 ივლისი						
20.45	146	ლიონი-ოსერი	1,8	3,2	4,2	1,15	1,26	1,81
		ოქროს თასი						
		24 ივლისი						
07.00	171	მექსიკა-კოსტა რიკა	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

WETTBÜRO Jeder kann gewinnen SCHWECHAT

ვეტენ შვეჰატი (ავსტრია)

ბრაზილია

XXI ტური

24 ივლისი

ატლ. მინეირო — ჟუვენტუდე	1.45	3.5	5.5
გუარანი — ატლ. პარანენსე	1.9	3.2	3.1
პარანა — ფორტალეზა	1.6	3.4	4.0
პაისანდუ — კრუზეირო	2.4	3.2	2.3
ბაია — კორინთიანსი	2.0	3.3	2.8
ფიგეირენსე — ვასკუ და გამა	1.6	3.4	4.0
სანტოსი — გოიასი	1.2	4.6	8.5

25 ივლისი

ფლამენგო — ინტერნასიონალი	2.2	3.2	2.5
გრემიო — კრისიუმა	1.9	3.3	3.0
სან კაეტანო — ფლუმინენსე	1.5	3.4	4.8
სან პაულუ — პონტე პრეტა	1.4	3.6	6.0

interwetten.com

ინტერვეტენი (ავსტრია)

ამხანაგური მატჩები

24 ივლისი

პორტუ — ჰანოვერი	2,3	3,1	2,3

კონკაკაფის ოქროს თასი. ნახევარფინალი

24 ივლისი

აშშ — ბრაზილია	2,3	3,1	2,6

25 ივლისი

მექსიკა — კოსტა რიკა	1,7	3,2	4,2

რუსეთი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩი

24 ივლისი

ცსკა — ურალანი	1,35	3,5	7,0

შვედეთი

XV ტური

24 ივლისი

ჰალმსტადი — გიოტებორგი	1,9	3,0	3,1

ფინეთი

გადადებული მატჩი

23 ივლისი

იარო — ტამპერე	3,1	3,0	1,9

ბრაზილია

XXI ტური

24 ივლისი

ატლ. მინეირო — ჟუვენტუდე	1,4	3,6	5,5
გუარანი — ატლ. პარანენსე	1,7	3,1	3,8
პარანა — ფორტალეზა	1,6	3,2	4,2
პაისანდუ — კრუზეირუ	2,4	3,0	2,3
ბაია — კორინთიანსი	2,0	2,9	3,0
ფიგეირენსე — ვასკუ და გამა	1,65	3,1	4,0
სანტოსი — გოიასი	1,25	4,3	8,0

25 ივლისი

კურიტიბა — ვიტორია	1,5	3,4	4,7
ფლამენგო — ინტერნასიონალი	2,2	3,1	2,5
გრემიო — კრისიუმა	2,1	3,1	2,7
სან კაეტანო — ფლუმინენსე	1,5	3,4	4,7
სან პაულუ — პონტე პრეტა	1,35	3,6	6,5

William HILL

უილიამ ჰილი (დიდი ბრიტანეთი)

შვედეთი. XV ტური

24 ივლისი

ჰალმსტადი — გიოტებორგი	1,9	3,25	3,3

sportsbook infoworld p2p

გეიმბუკერსი (ინგლისი - ავსტრია)

ბრაზილია. XXI ტური

24 ივლისი

პაისანდუ — კრუზეირო	2.6	3.2	2.3
პარანა — ფორტალეზა	1.6	3.4	4.75
ატლ. მინეირო — ჟუვენტუდე	1.45	3.75	5.85
გუარანი — ატლ. პარანენსე	1.8	3.3	3.65
ფიგეირენსე — ვასკუ და გამა	1.65	3.4	4.35
სანტოსი — გოიასი	1.25	4.6	8.75

25 ივლისი

კურიტიბა — ვიტორია	1.55	3.6	4.8
სან კაეტანო — ფლუმინენსე	1.53	3.65	5.0
ფლამენგო — ინტერნასიონალი	2.2	3.15	2.8
გრემიო — კრისიუმა	2.05	3.25	3.0
სან პაულუ — პონტე პრეტა	1.4	4.0	6.1

დანია

სუპერლიგა. I ტური

27 ივლისი

ფარუმი — აკადემისკი	2.05	3.35	3.25
ოლბორგი — კოპენჰაგენი	2.95	3.35	2.2
ბრონდბიუ — ჰერფიოლგე	1.35	4.5	7.5
მიდტიულანდი — ვიბორგი	1.95	3.3	3.5
ესბიერგი — ორჰუსი	2.1	3.3	3.25
ოდენსე — ფრემი	1.5	4.0	6.0

ნორვეგია. XIV ტური

27 ივლისი

მიოლდე — ოდ გრენლანდი	1.85	3.5	3.45
ბრანი — ლინი	2.4	3.35	2.45
სტაბეკი — სოგნდალი	1.9	3.5	3.25
ტრომსიო — ალესუნდი	1.6	3.8	4.4
ბრინი — ვიკინგი	2.55	3.35	2.35
ბოდიო გლიმტი — ლილესტრიომი	1.95	3.4	3.25

შვედეთი. XV ტური

24 ივლისი

ჰალმსტადი — გიოტებორგი	1.93	3.3	3.5

კონკაკაფის ოქროს თასი

ნახევარფინალი

24 ივლისი

აშშ — ბრაზილია	2.4	3.25	2.5

25 ივლისი

მექსიკა — კოსტა რიკა	1.7	3.35	4.25



ვ. ბერაძე დოლუნგაჯიშვილის ფოტო

„სტუ-ჯეოსელი“ არასდროს ყოფილა ჩემპიონობის რეალური პრეტენდენტი, მაგრამ არც ფსკერამდე დაძირულა. ასე იქნება მომავალ სეზონშიც, ტექნიკოსებმა საჩემპიონო გუნდი იქნებ ვერ შეკრან, მაგრამ, ალბათ, არც ისე გაუჭირდებათ, საუკეთესო ოთხეულს მიღმა დარჩნენ. ტექნიკოსებს ბოლო სეზონში ჩვენი ჩემპიონატის სტანდარტით ერთი-ორი მაღალი დონის მოთამაშე მოეძებოდათ, მაგრამ შედარებით ჯიბესქელმა ქართულმა კლუბებმა წაჰგვარეს და სწორედ ამას ჩივის სტუ-ს მთავარი მწვრთნელი ნუგზარ ჭეიშვილიც, რაც „დინამოს“ და „ბასკოს“ მეფურ მადას გადაურჩება, კალათბურთელთა იმ ჯგუფისგან შევკრებ გუნდსო...

ნუგზარ ჭეიშვილი: ვინც დინამოს და ბასკოს მორჩება, ჩვენ დაგვრჩება

— დღეს „სტუ-ჯეოსელს“ ფაქტობრივად აღარავინ ჰყავს. როგორც წესი, ჩვენი გუნდი მოთამაშეებს 10-თვიან კონტრაქტს სეზონის წინ უფორმებს და დღესდღეობით მთელი შემადგენლობა თავისუფალია. კალათბურთელებთან მოლაპარაკებებს მალე დავიწყებთ და ახალი გუნდიც შეიკრიბება.

— ისე ლაპარაკობთ, თითქოს ბოლო სეზონის შემადგენლობიდან აღარავინ გეყოლებათ. სად არიან ძველი მოთამაშეები?

— იქ, სადაც უკეთესი პირობები შესთავაზეს. არც გაემტყუნებათ, „დინამო“ და „ბასკო“ უფრო მეტს იხდიან და ჩვენი მოთამაშეებიც ალბათ ამ კლუბებში გადანაწილდებიან.

— კონკრეტულად ვინ წავიდა და სად?

— როგორც გითხარით, „სტუ-ჯეოსელიდან“ ჯერჯერობით ყველა მოთამაშე წასულია. კოტე ტულუში, ლაშა ლოსაბერიძე და დავით მუშკუდიანი „დინამოში“ ვარჯიშობენ და, როგორც გავიგე, უკვე გადაწყდა მათი იქ დარჩენა. სამწუხაროდ, ტულუშს ფეხის თითი მოუეხავს და არ ვიცი, რა როგორ იქნება. შიო ხეცურიანიც რომელიღაც კლუბთან აწარმოებს მოლაპარაკებას. ჟოლვეტ ტუჯანი ლიტვაში მიდის. ვასილ ოთიურიძეს კი სურს ჩვენთან დარჩენა, მაგრამ მუშაობს, თან შვილიც შეეძინა და კალათბურთისთვის, ალბათ, ველარ მოიცლის.

— ამ სეზონის ბოლოს მცირე კონფლიქტი გქონდათ გიორგი მარხვაშვილთან. ის ალბათ წავა გუნდიდან...

— მისი საქმეა. თუ უკეთეს ვარიანტს გამონახავს, მარხვაშვილიც წავა, აბა რას იზამს.

— მაშ, რას აპირებთ, ვიღას აიყვანთ გუნდში?

— მათ, ვისაც „დინამო“ და „ბასკო“ დაიწუნებენ. არ მგონია, ამ გუნდების დაწუნებული კალათბურთელებისგან საშუალო დონის კლუბი მაინც არ შეკრიბო. ფაქტობრივად უკვე გადაწყდა, რომ მაკაბელი ირაკლი ბერიშვილი და ბასკელი გიორგი ნიკოლაძე „სტუ-ჯეოსელში“ ითამაშებენ.

— თქვენც ადექით და ლეგიონერები ჩამოიყვანეთ, ამაშიც ხომ ვერ შეგიშლიან ხელს „დინამო“ და „ბასკო“?

— სწორედ ლეგიონერთა ჩამოყვანას ვაპირებ, მაგრამ საბოლოოდ მოვახერხებთ თუ ვერა, ჯერ არ ვიცი. უკრაინაზე მიჭირავს თვალი, რაღაც ვარიანტებია და თუ მოხერხდა, სავარაუდოდ, ცენტრს ჩამოვიყვანთ.

ვ. ბერაძე დოლუნგაჯიშვილის ფოტო

ნუგზარ ჭეიშვილს და ნიკო ჩერქეზიშვილს შეგირდები შემოეფანტნენ

— რატომ მაინცდამაინც ცენტრს?

— ჯერ ერთი, ცენტრი სტუ-ს სუსტი წერტილი იყო ბოლო სეზონში და საერთოდ, საქართველოს ჩემპიონატში ჭირს ამ ამპლუის კალათბურთელები და თუ ხეირიანი ცენტრი გვეყოლება, სოლიდურ უპირატესობას მოვიპოვებთ.

— ფინანსურად ალბათ ისევ კომპანია „ჯეოსელი“ დაგეხმარებათ...

— ისევ „ჯეოსელი“ და ტექნიკური უნივერსიტეტი დაგვაფინანსებენ. ლაპარაკია იმაზე, რომ „ჯეოსელმა“ მომავალ სეზონში მეტი თანხა გამოგვიყოს და თუ ასე მოხდა, მეტი გამბედაობით შევებრძოლებით „დინამოსა“ და „ბასკოს“.

— მოთამაშეებს კონტრაქტები დაუმთავრდათო... მწვრთნელებზე რას იტყვით?

— მეც და ნიკო ჩერქეზიშვილსაც დაგვისრულდა „სტუ-ჯეოსელთან“ კონტრაქტი, მაგრამ მომავალშიც ჩვენ ვიქნებით მწვრთნელები. ახალ კონტრაქტებს მალე გავაფორმებთ.

— გუნდს რომ შეკრებთ, თბილისში მოემზადებით?

— თავიდან თბილისში, სექტემბერში კი ბულგარეთში ვგეგმავთ შეკრებას. მოლაპარაკებას უკვე ვაწარმოებთ ბულგარელებთან და ალბათ მალე ამ საკითხსაც დადებითად გადავწყვეტთ.

ირაკლი პერტაია

დრაჟენ ბრაიკოვიჩმა ოთხიოდ თვის წინ „დინამო“ იმ პირობითაც ჩაიბარა, რომ მისგან ეროვნული ნაკრების საბაზო გუნდს გააკეთებდა, მაგრამ სეზონის ბოლო იყო და აბა, რას მოასწრებდა. დასრულდა ჩემპიონატი და ბრაიკოვიჩი მიზანმიმართულად ახორციელებს თავის „საბაზო“ გეგმას — გუშინ „დინამოში“ ნაკრების ოთხი კანდიდატი აიყვანა.



ვ. ბერაძე დოლუნგაჯიშვილის ფოტო

დრაჟენ ბრაიკოვიჩმა კოტე ტულუში „დინამოში“ წაიყვანა

დინამომ ბაზა აიღო

ბრაიკოვიჩმა ნაკრების კანდიდატები შეიმატა

ამას წინათ, „დინამოს“ ბაზაზე მოვარჯიშე ნაკრების ერომა კანდიდატმა თქვა, ეს დინამოელთა შეკრება უფროა, ბრაიკოვიჩს თავისი გუნდისთვის ვუნდივართო. ასეც რომ იყოს, ხორვატს ვინ გაამტყუნებს, ნაკრების მწვრთნელიცაა და რა, თვალს ხომ არ დახუჭავს, ვინმე თუ მოეწონა. ჰოდა, როგორც ჩანს, ბრაიკოვიჩს სტუ-ჯეოსელელები — კოტე ტულუში, დავით მუშკუდიანი, ლაშა ლოსაბერიძე და ბასკელი ირაკლი კეიდია მოსწონებია. ამ ოთხეულის „დინამოში“ ჩარიცხვის ამბავი გუშინ საღამოს გაირკვა და მათ კონტრაქტებსაც ორიოდ დღეში გაუფორმებენ.

მოეწონაო, ვთქვით, და, ბრაიკოვიჩმა სანაკრებო ვარჯიშებზე სხვებსაც დაადგა თვალი. ხორვატს გულით ეწადა აზოტელი არჩილ ჟღენტის „დინამოში“ გადაბირება, მაგრამ...

„საკმაოდ კარგ პირობებს მთავაზობდა „დინამო“, მაგრამ უარი ვთქვი. გადაწყვეტილება უკვე მივიღე, „აზოტს“ ვერ ვუღალატებ“ — გვითხრა გუშინ არჩილ ჟღენტმა.

ბრაიკოვიჩს გუნდში ზვიად ბაბიაშვილისა და დავით უგრეხელიძის აყვანაც სურდა, მაგრამ პირველმა „აზოტისკენ“ გაიწია, უგრეხელიძე კი იტალიური „სიენას“ სიტყვას ელის და „დინამოსთან“ გაფორმეული კონტრაქტი ყველაფერს წყალში ჩაუყრიდა.

მალე „დინამოში“ უცხოელთა გამოჩენასაც უნდა ველოდოთ. ბრაიკოვიჩი დღეს ხორვატიაში მიემგზავრება და 11 აგვისტოს დაბრუნდება, სავარაუდოდ, ლეგიონერებთან ერთად.

ირაკლი პერტაია

დავიღალე, სკამზე მინდა!

ცქიტიშვილი ხარებთანაც ცხენივით არბენინეს

საზაფხულო კემპებზე ნაყოჩაღევმა ნიკა ცქიტიშვილმა ბოლო მატჩში ვერ ივარგა. არა, სოლტ ლეიკ სიტის კემპზე ქართველი თავდამსხმელის „ჩიკაგო ბულზთან“ გარჯას მთლად ცუდი არ ეთქმის, მაგრამ თუ მის აქამდელ მატჩებს გადავხედავთ, 7 ქულა და 3 მოხსნა დიდი ვერაფერი შედეგია.

ცქიტიშვილმა აქამდე 7 მატჩი გამართა ლონგ ბიჩისა და სოლტ ლეიკ სიტის კემპებზე და საშუალოდ 17 ქულას იხვეჭდა. „დენვერის“ დანარჩენ ახალბედებთან შედარებით ცქიტიშვილი ყველაზე მეტ დროს ატარებდა მოედანზე და გუშინდელ ინტერვიუში გვითხრა კიდეც გადავილალეო. „სკიტა“ არც „ჩიკაგოსთან“ დაუსვენებიათ. ქართველმა ორივე გუნდის შემადგენლობაში ყველაზე მეტი, 33 წუთი ითამაშა, მაგრამ შედეგიანობით ბევრს ჩამორჩა.

„დენვერს“ ყველაზე მეტი ქულა შეაწიეს ნენე ილარიომ და ჯეფ ტრეპენიემ, თუმცა აღნიშვნის ღირსია ფრანცისკო ელსონის ორმაგი დუბლი (11 ქულა, 10 მოხსნა), იგი ამპლუით თავდამსხმელ-ცენტრია და დრაფტგაუვლელად ლამობს „ნაგიტსში“ ჩარიცხვას.

ერთი საინტერესო ფაქტი: ჩიკაგოელთა შემადგენლობაში ითამაშა დრაფტზე „ხარების“ მე-7 რჩეულმა კირკ ჰინრიხმა და ისე გალია ოციოდ წუთი, კინკილა ქულაც ვერ მოიპოვა. მოდი და ნუ გაუგებ ზაზა ფაჩულიას, დრაფტზე 42-ე ნომრად არჩევა რომ ეწყინა.

დენვერელებმა კი 70:74 წააგეს ჩიკაგოელებთან და გუშინ ისვენებდნენ.

ირაკლი პერტაია



ნიკა ცქიტიშვილი საზაფხულო ლიგის თამაშებზე გადაიღალა

კორეჩამ თავი დაკარგა

GENERALI OPEN
კიცბიუელი. თიხნარი
საპრიზო 925 ათასი ევრო

პირველი წრე

ნიკოლას მასუ (ჩილე) - შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:4, 3:6, 6:4; ალბერტ პორტასი (ესპანეთი) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 6:4, 6:2

მეორე წრე

პოლ-ანრი მათიო (საფრანგეთი) — რაინერ შიუტლერი (3, გერმანია) 6:4, 3:6, 6:3; იუნეს ელ აინაუი (5, მაროკო) — მიხელ კრატოხვილი (შვეიცარია) 6:7 (4:7), 6:1, 7:6 (7:3); მარიანო საბალეტა (9, არგენტინა) — ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) 6:2, 7:5; ვერნერ ეშაუერი (ავსტრია) — ალექს კორეჩა (12, ესპანეთი) 6:4, 6:4; ფელისიანო ლოპესი (13, ესპანეთი) — ფლორინ მერგეა (რუმინეთი) 6:3, 6:4

კიცბიუელი ავსტრიული ქალაქია, ზალცბურგიდან 60 კილომეტრს, ხოლო თავისი დაარსებიდან 700 წელს მოითვლის. ის ცნობილია სამთოსათხილამურო ტრასებით, სამთო რკინიგზის მუზეუმითა და საჩოგბურთო ტურნირით, რომლის საპრიზო ფონდადაც ლამის მილიონ ევრომდეა დათქმული.

ეგებ გახსოვდეთ — ამ ტურნირის უმთავრესი ჯეკპოტი შარშან ამაგდარმა ესპანელმა ალექს კორეჩამ მოხსნა. ეს კორეჩასთვის მეორე კიცბიულერული ტიტული იყო და ფინალში მან ხუან კარლოს ფერეროს აჯობა.

ახლა, როცა ეს სტრიქონები იწერება, კორეჩა ტურნირიდან უკვე გავარდნილია, ფერერო კი ჩოგანს ილესავს — თუკი იქ ფინალამდე გააღწევს და მერე გადამწყვეტ შეხლაშიც იმარჯვებს ჩემპიონთა რბოლის უპირველეს საფეხურს დაუბრუნდება.

წლევანდელ როლანგაროსოსან კოლომბიჭზე ალბათ ხვალ ვისაუბრებთ, მისი 17-გზის ტიტულოსანი თვისტომი კი იმ დღეს ადგილობრივთა 29 წლის ფავორიტმა ვერნერ ეშაუერმა გააბუნძულა.

ამ ეშაუერს რაგინდარა საეტიპო შეხვედრა 2001 წელს გსტაადის ტურნირზე ალბერტ კოსტას დამარცხების შემდეგ აღარ მოეგო. სხვათა შორის, კოსტას ძლევის მერე მისი გსტაადური ბუქნაობა სწორედ კორეჩამ ალაგმა და სტატისტიკოსებმა ეს ამბავი უმალვე გაიხსენეს.

მათ ისიც ციმციმ მოაგონდათ, რომ ამ კიცბიუელობამდე ეშაუერს რვაწლიანი ეიტიპი-ტურაობისას სულ სამდსამ შეხვედრაში უმარჯვია — კოსტამდე მან 2000 წლის როლან გაროსზე ფრანგი სირილ სოლნიე მოთელა, 2001 წლის მიუნხენობაზე კი — ევგენი კაფელნიკოვი.

ახლა კი, სანამ კორეჩას გაუსწორდებოდა, პირველ წრეში უსახელო გერმანელი ალექსანდრ ვასკე აოტა...

მოკლედ, გაილაღა კაცმა.

კორეჩა კი ამ სეზონში უჩვეულოდ ვაინაჩრობს და ნაამოულოდნელობევს 10 მოგების წილ უკვე 16 დამარცხება დაუგროვდა, რაიც მისი სახელისა და გამავლობის მეჩოგნისათვის, ჰაი-ჰაი, რომ შეუფერებელი ბალანსია.

სხვაფრივ — დღის მეორე ბობოლა დანაკარგი მესამე ნომრად განთესილი რაინერ შიუტლერი გამოდგა. ავსტრალიის წლევანდელი ღია პირველობის ფინალისტი ფრანგმა პოლ-ანრი მათიომ დაჩოგნა.

არადა, წლეულს შიუტლერმა ცხრაჯერ სულ მცირე მეოთხედფინალში მაინც ითამაშა და პირველი წრიდანაც მხოლოდ ერთხელ გავარდნენ. მათიოს კი ავსტრიულ მთებში ჩასვლამდე საამსეზონო 12 მარცხის სანაცვლოდ მხოლოდ სამი გამარჯვება დაეკვეხოდა.

წინა უქმეებზე ამსტერდამში გაჩემპიონებულმა ჩილელმა მასუმ მორიგი ტურნირი ავსტრიელთა ჯილა კუბეკის ძლევით დაიწყო, ახლახანს დისკვალიფიკაცია მოხსნილმა ჩეხმა ულირახმა კი თავისი პირველი მატჩი ვაგლახად დათმო.

RCA CHAMPIONSHIPS
ინდიანაპოლისი. ჰარდი
საპრიზო 600 ათასი დოლარი

მეორე წრე

ენდი როდიკი (1, აშშ) — სირილ სოლნიე (საფრანგეთი) 6:7 (5:7), 6:3, 7:6 (7:4); სხენგ შალკენი (3, ჰოლანდია) — ივან მირანდა (პერუ) 6:3, 6:1; ჟან-მიშელ გემბილი (5, აშშ) — ტომას ენკვისტი (შვედეთი) 6:2, 6:2; მარდი ფიში (6, აშშ) — ქრის გუჩონე (ავსტრალია) 7:5, 6:7 (5:7), 6:4; უეისლი მოოდი (სამხრეთ აფრიკა) — ბრაიან ვაალი (12, აშშ) 6:3, 4:6, 7:6 (7:1); ნიკოლას კიფერი (14, გერმანია) — პრაკაშ არმიტრაჯი (ინდოეთი) 6:3, 6:1



ალექს კორეჩა

ორ საათზე მეტი დასჭირდა ტურნირის მთავარგანთესილ ენდი როდიკს უსახელო ფრანგ სირილ სოლნიეს ტრიბუნაზე გასაშვებად. ეს შეხვედრა, რომლის დროსაც წლეულს რიგიანად მოჩოგნავე ენდიბოის ორი ტაიბრეიკის გადატანაც მოუხდა, მისთვის ინდიანაპოლისში გამართული პირველი მატჩი იყო.

საინტერესოა, რომ სოლნიესთვის მას წლეულს მაიამობაზეც მოუგია და — ეგებ თქვენც გახსოვდეთ — წლევანდელი ავსტრალიის ღია პირველობისა და უიმბლდონობის ნახევარფინალისტმა ის მატჩიც სამსეტიანი და ორტაიბრეიკიანი ბულრაობის შედეგად მიითვალა.

სულ კი ამ სეზონში როდიკს უკვე 48 მატჩი დაუგროვდა და 36 გამარჯვების ვერსაპირწონედ ის მხოლოდ 12 მარცხს მოიძევს.

ხორვატიის ღია პირველობა
უმაგი. თიხნარი
საპრიზო 400 ათასი ევრო

პირველი წრე

კარლოს მოია (1, ესპანეთი) — ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) 7:6 (7:1), 6:4; ფერნანდო გონსალესი (2, ჩილე) — ლოვრო ზოვკო (ხორვატია) 6:4, 6:4; რაფაელ ნადალი (6, ესპანეთი) — ადრიან ვოინია (რუმინეთი) 6:3, 1:0 ვოინიამ შეწყვიტა; ფილიპო ვოლანდრი (7, იტალია) — ატილა სავოლტი (უნგრეთი) 6:3, 6:0; დავიდ ფერერი (8, ესპანეთი) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 6:0, 3:1 არაზიმ შეწყვიტა

უმაგობის მეორე დღე განთესილთა ბაირამობით აღინიშნა — შარშანდელ ჩემპიონ კარლოს მოიათი დაწყებული შარშანდელსავე ფინალისტ დავიდ ფერერით დამთავრებული სხვათაგან ნომრით გამოყოფილმა მეჩოგნეებმა მეორე წრეში უპრობლემოდ გაიკაკეს.

არადა, გეხსომებათ, რომ ტურნირის პირველმა დღემ სწორედ განთესილები — ტრავმირებული ფელიქს მანტია (3) და ძლეულნი — ოლივიე როხუსი (4) და ფერნანდო ვისენტე (5) შეიწირა...

გამარჯვებულთაგან ორიოდ სიტყვას მხოლოდ ტურნირის სამგზის გამარჯვებულ კარლოს მოიას შევაწევთ: მან წლის მე-40 გამარჯვება მიითვალა და ოდნავ მაინც გამოიკეთა ერთი კვირის წინ შტუტგარტულ თიხნარზე პირველსავე წრეში დამარცხების გამო წამურდლული გუნება.

ლევან ქელაურაძე



ენდი როდიკი

სასიამოვნო ცნობა მოვიდა მოსკოვიდან: ქართველი ჩოგბურთელების, გიორგი ხრიკაძისა და გიორგი ნავროზაშვილის წყვილმა პირველობა მოიპოვა „მოსკოვის ოლქის გუბერნატორის თასის" ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში

ქართველებმა მოსკოვიდან გუბერნატორის თასი წამოიღეს
ხრიკაძე წაგებულიც კი საუკეთესო იყო

ტურნირში 16 ქვეყნის 16-წლამდელი ჭაბუკები გამოდიოდნენ. ჩვენმა ბიჭებმა ადვილად დაძლიეს რუს, ჩეხ, ავსტრიელ და უკრაინელ მეტოქეთა წინააღმდეგობა და ფინალში ფავორიტ მასპინძლებს ვადიმ მალახოვსა და გიორგი მარგოევს დაუპირისპირდნენ. ქართველ ჭაბუკთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ უმაღლეს რეიტინგიან მოსკოველებს წარმატების მცირედი შანსიც არ დაუტოვეს და ისინიც ორ სეტში მიამარცხეს — 6:3, 6:3. ჯილდოდ ლამაზი საგუბერნატორო თასები და „სამსუნგის" მუსიკალური ცენტრები მიიღეს, თანაც საევროპო კლასიფიკაციის ქულებიც მიითვალეს.

ორივე გიორგიმ, ცხადია, ერთეულთა თანრიგშიც სცადა ძალა. ნავროზაშვილი, სამწუხაროდ, პირველივე წრეში გამოეთიშა ბრძოლას სანკტ პეტერბურგელ ვალერი რუდნევთან წაგებით — 4:6, 6:4, 4:6, ხრიკაძემ კი ჯერ პირველ ნომრად განთესილი მალახოვი გაამწარა — 6:3, 6:1, მერე ასევე ორ სეტში სძლია გერმანელ კლაუს ბეკერს — 6:1, 6:1 და რუს ანდრეი კოზინს — 6:3, 6:2, ხოლო ნახევარფინალურ დაძაბულ შეხვედრაში მოსკოველ არტურ ჩერნოვთან დამარცხდა — 6:1, 6:7, 4:6. ძნელი სათქმელია, როგორ დასრულდებოდა ეს ორთაბრძოლა, გადამწყვეტ სეტში, როცა ანგარიში იყო 2:1 და 40:0 გიორგის მოწოდებისას, მეორე ჩოგანზეც რომ არ გაწყვეტოდა სიმები, სათადარიგო „იარაღი" კი სასურველ დონეზე ვერ აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ფინალამდეც გამართული ვერ მიაღწია, ტურნირის ყველაზე პატარა მონაწილე, 14 წლის ხრიკაძე საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

იმასაც აღვნიშნავთ, რომ გიორგიმ, რომელსაც საქართველოში თანატოლთა შორის უმაღლესი რეიტინგი აქვს, ორიოდე თვის წინ თბილისშიც ყველას აჯობა ცნობილი ჩოგბურთელის რენა აბჟანდაძის ხსოვნის შეჯიბრში. ხრიკაძეს წლების განმავლობაში ავარჯიშებდა ვიქტორ ბაკში, ამჟამად კი იგი, ისევე როგორც ნავროზაშვილი, წარსულში ჩვენი ერთ-ერთი უძლიერესი მეჩოგნის თეიმურაზ კაკულიას ჯგუფში იმაღლებს ოსტატობას.

გია ახალაძე



გიორგი ხრიკაძემ და გიორგი ნავროზაშვილმა გუბერნატორის თასი არავის დაანებეს

სიახლე საქართველოში!
35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები, აირჩიეთ და
დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე
გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის, ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით,
საცალო და საბითუმო ფასებში
სარო-არტპრინტი
ვაჟა ფშაველას 91 ტელ: 53-76-82 899 56-18-49

REUTERS ბარსელონიდან

ჯეიმს გიბსონმა დიდ ბრიტანეთს 28 წელიწადში პირველი ოქრო მოუპოვა

ბელარუსებმა ურუსებოდ გაიხარეს

რამდენიც უნდა აკრიტიკონ იან ტორპი, ოღრ ბიჭი მაინც აკეთებს თავის მინიმუმს, ხოლო მისი მინიმუმი ოქროს მედლებია.

ბარსელონაში გახურებული მსოფლიოს საწყლოსნო ჩემპიონატში ტორპმა მეოთხე საცურაო დღეს მესამე ოქრო მოიგო. 200 და 400 „თავისუფალ“ მეტრზე ჩემპიონობის შემდეგ მან თავის გუნდსაც შეაწია თევზის სხეულივით განვითარებული ტან-კიდურები და ოზებს 4X200 თავისუფალი მეტრი მოაგებინა.

როგორც საუკეთესო მოცურავე, ტორპი მეოთხე კაცად იდგა ავსტრალიის დაფაზე და უშუალოდ მის კონკურენტ ამერიკელს — ავსტრალიას პირველობას სწორედ აშშ ეცილებოდა — კლოდ კელერს თავის წილ 200 მეტრზე წამი აართვა. ავსტრალიამ მოქიშპე აშშ-ს ჯამში ორ წამზე მეტით მოუგო.

ტორპმა კი არა, იმ დღეს ვერც ერთმა ჩემპიონმა ვერ დაამყარა რეკორდი. ბატერფლაით ცურვის 18 წლის ამერიკელმა ვუნდერკინდმა მაიკლ ფელპსმა კი მოიგო თავისი წილი 200 მეტრი „ბატერფლაი“, მაგრამ მხოლოდ წუთი და 5.54,35 წამი უჩვენა, რაც 0,42 წამით ჩამორჩება მსოფლიოს ჯერაც ცხელ რეკორდს, რომელიც ფელპსმა წინა დღეს ნახევარფინალურ გაცურვაში დაამყარა.

მეოთხე დღეს მედლების კიდევ ოთხი კომპლექტი გათამაშდა. ბრიტანელ ჯეიმს გიბსონს, რომელიც ძირითადად ბრასის დისტანციებში ცდის თავის მხარ-მკლავს, გუშინ მეტად გაუმართლა, ვიდრე ორშაბათს. გიბსონმა ორშაბათს 100 მეტრი ბრასი ჩააფლავა და კისერზე ბრინჯაომოგდებული, ოდენ მესამე კაცად შედგა კვარცხლბეკზე, გუშინ კი მას სრული მიზეზი ჰქონდა გაბადრულიყო, რამეთუ მოიგო 50 მეტრი ბრასი და თქვენ წარმოიდგინეთ, დიდ ბრიტანეთს 28 წლის განმავლობაში პირველი ოქრო მიართვა.

ასევე მთელი ერი გაახარა ბელარუსმა გოგონამ ალიონა პოჰჩანკამ, ვინაც მსოფლიოს უყოჩაღეს ქალებს 200 თავისუფალი მეტრი მოუგო. სრულიად ბელარუსი ერისთვის ეს პირველი საწყლოსნო ოქროა დედა რუსეთიდან თუ საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის შემდეგ.

ბედუინი აუზში
ბარსელონაში ერაყელი მოცურავე გამოჩნდა

ბარსელონაში ერაყელი მოცურავე გამოჩნდა, სახელად მუჰამედ აბასი.

მხოლოდ გამოჩნდა, რადგან მნიშვნელოვანი შედეგისთვის არ მიუღწევია. 100 თავისუფალი მეტრის საკვალიფიკაციო გაცურვაში მიიღო მონაწილეობა და საკმაოდ დაბალი დრო — 59,96 წამი აჩვენა, მაშინ როცა საკვალიფიკაციო ეტაპში საუკეთესომ, ჰოლანდიელმა პიტერ ვან დენ ჰოგენბანდმა ამ დისტანციას ოდენ 48,86 წამი დაახარჯა.

ერაყელის ადგილზე სხვისთვის ეს შედეგი იქნებ კარიერის გაწბილება ყოფილიყო, მაგრამ თავისი მონარქისგან ჩაგრული და გიაურებისგან დაბომბილი ერის შვილი მხოლოდ მონაწილეობითაც ბედნიერია.

„მე მხოლოდ ოთხი დღე მქონდა სავარჯიშოდ — ამბობს მუჰამედ აბასი, რომელმაც მხოლოდ ბარსელონაში თუ გაიქნია მხარ-მკლავი, თორემ მშობლიურ ერაყში მას სტანდარტულთან მიახლოებულ პირობებში ცურვის საშუალებაც არ ჰქონია. ერაყში, ბაღდადში ერთადერთი 50-მეტრიანი აუზია და ომის შემდეგ ისიც ამერიკელ ჯარისკაცებს თუ ერაყელ მარადიორებს გაუპარტახებიათ. ჰოდა, ეს ჩვენი აბასი, ისტორიული მესოპოტამიის ორიდან ერთ-ერთ დედამდინარეში მღვრიე ტიგროსში თუ იჯერებდა გულს ცურვით. მაგრამ იქაც არ დასცალდა. „კი ვცურავდით მე და ჩემი მეგობრები ტიგროსში, მაგრამ ომის შემდეგ მდინარეში ჩასვლა სახიფათო გახდა და ჩვენც შევწყვიტეთ — ამბობს აბასი — არადა ვარჯიში აუცილებელია. ამერიკის ნაკრები „მაგალითად“ დღეში სამჯერ ვარჯიშობს. ასე რომ, ჩემს სიტუაციაში შედეგით სულაც არა ვარ უკმაყოფილო. პირიქით, მე ბედნიერი ვარ!“

ერაყელი მოცურავე მტარვალი სადამ ჰუსეინის აწ განსვენებულ ვაჟს, პირსისხლიან უდაისაც ახსენებს, რომლის სიკვდილის ამბავი CNN-მა გუშინწინ აუწყა სამყაროს და რომელიც სადამის რეჟიმის დროს ერაყის ოლიმპიურ კომიტეტს განაგებდა.

„არც ერთ ერაყელ სპორტსმენი არ უნდა არც სადამი და არც უდაი ჰუსეინები. მათ ხელში ყველანი დაშინებულები ვიყავით. უდაის განსაკთრებული სასამართლო ჰქონდა დამარცხებული სპორტსმენებისთვის, ამის შესახებ ფეხბურთელებს ჰკითხეთ. მათ ყველაფერი იციან.“

რა უნდა ჰკითხო ფეხბურთელებს, როგორ აწამებდა დამარცხებულებს უდაი და როგორ სვავდა განავლით სავსე კასრებში, ანაც როგორ უსერავდა სახეს? მისი სისასტიკის ამბავი მთელმა მსოფლიომ იცის და ამ ცხოვრებიდან წასულს მრავალმა მილიონმაც მიაგინა.

„ძნელი დრო გვქონდა — აგრძელებს მუჰამედ აბასი — ჩვენ შეგვეძლო გვევარჯიშა, მაგრამ ყოველგვარი ეკიპირების და გასამრჯელოს გარეშე. და თუ სპორტსმენი საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობას გადაწყვეტდა, მას წერილობითით პირობა უნდა დაედო, რომელ მედალს ჩამოიტანდა ოქროს, ვერცხლს თუ ბრინჯაოს. ვერ შეასრულებდა და...

მე უარი ვთქვი ხელის მოწერაზე.“

ძოტე ყოლბია

ტურ დე ფრანსი 2003

დამტვრეულმა დაგლიჯა

ტურ დე ფრანსის მე-16 ეტაპი მთლიანად ერთი კაცისა გამოდგა. 32 წლის ამერიკელმა ტაილერ ჰამილტონმა თითქმის ორასკილომეტრიანი ეტაპის შუიდან თავი დაადო და ისე გამოექცა პელოტონს, უკან ვერავინ მიჰყვა. მან უჩაუქესად გადაიარა ტურის უკანასკნელი, ზღვის დონიდან 1327 მეტრზე აზიდული მაღლობი და ძირს რომ უწია და უკან მდევარი ვერ დაინახა, კიდევ უფრო დააწვა პედლებს.

საბოლოოდ ჰამილტონმა თითქმის ორწუთიანი უპირატესობით მოუგო პელოტონს და საერთო ჩათვლაში მეშვიდე ადგილიდან მეექვსეზე აინაცვლა. ახლა ჰამილტონი ექვსნახევარი წუთით ჩამორჩება ტურის ლიდერ ლენს არმსტრონგს და დარჩენილ ოთხ ეტაპში ასეთივე თავგანწირვითაც რომ ირბოლოს, მაინც ვერ ჩამოართმევს ლიდერობას, მაგრამ ტურის ეტაპის ასე მოგებაც პატივს დებს მრბოლს, რომელიც შეიძლება, საერთოდ გამოთხოვებოდა ტურს დასაწყისში.

REUTERS ბაიონიდან

ტურის გმირი ტაილერ ჰამილტონი

ტაილერ ჰამილტონი პირველივე ეტაპის ბოლო კილომეტრებში ათეულზე მეტ მრბოლთან ერთად დიდ ზედხორაში მოჰყვა და ლავიწის ძვალი გაიტეხა. მის მდგომარეობაში მრავალი ჩაიქნევდა ხელს და ველოს მანქანას აჰკიდებდა, მაგრამ ამერიკელმა მოტეხილობა მაგრად გაიკრა, კბილი კბილს დააჭირა და აგერ, დასაჩუქრდა კიდეც.

„ეს ტურის ყველაზე დიდი თავგანწირვაა“ — თქვა არმსტრონგმა, რომელიც ოდესღაც ჰამილტონის თანაგუნდელი იყო, თუ პირიქით, ის იყო ამის თანაგუნდელი. არადა, თავად არმსტრონგი ავარიის შემდეგ ჰამილტონს ეუბნებოდა, ნუ სულელობ, ველოდან ჩამოდი და თავს საფრთხეში ნუ ჩაიგდებო.

თავად არმსტრონგი კი ისევ ლიდერია და ძველებურად 67 წამს უგებს უახლოეს მდევარ იან ულრიხს. ლიდერთან სხვაობა ვერ შეცვალეს სხვა მდევრებმაც, ვინაიდან საერთო ჩათვლის ყველა მოწინავე იმ ჯგუფში აღმოჩნდა, რომელმაც ჰამილტონის უკან წუთსა და 55 წამში გადაკვეთა ფინიში.

ძოტე ყოლბია

XVI ეტაპი. 23 ივლისი

პო — ბაიონი 197.5 კმ

1 ტაილერ ჰამილტონი (აშშ, Team CSC) 4სთ 59წთ 41წმ
2 ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი) + 1წთ 55წმ

საერთო ჩათვლა

1 ლენს არმსტრონგი (აშშ, US პოსტალი) 70სთ 37წთ 59წმ
2 იან ულრიხი (გერმანია, ბიანკი) + 1წთ 7წმ
3 ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ტელეკომი) + 2წთ 45წმ
4 აიმარ სუბელდია (ესპანეთი, ეუსკატელი) + 5წთ 16წმ
5 იბან მაიო (ესპანეთი, ეუსკატელი) + 5წთ 25წმ
6 ტაილერ ჰამილტონი + 6წთ 35წმ

გაქურდეს თუ გაუტყდა?
ბარიჯელომ თასი სახლამდე ვერ მიიტანა

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

„ფერარის“ ბრაზილიელმა მრბოლმა რუბენს ბარიკელომ, რომელმაც გასულ კვირას დიდი ბრიტანეთის საფორმულო დიდი პრიზი მოიგო, სან პაულუში ჩაფრენისას აღმოაჩინა, რომ მისი ბარგიდან სილვერსტოუნის ავტოდრომზე მიღებული თასი გაქრა. გმირი თანამემამულის დასახვედრად აეროპორტში უამრავი ქომაგი მივიდა და ჰილოტიც ძალიან შეწუხდა, მათ კოხტა, მოოქროვილი პრიზი რომ ვერ აჩვენა.

„ვიღაც ოხერმა გახსნა ჩემი ბარგი და ჯილდო მოიპარა. ეს ალბათ ლონდონიდან გამოფრენამდე მოხდა. რა თქმა უნდა, საწყენია სამშობლოში ხელცარიელი დაბრუნება. თუ პოლიცია ვერ იპოვის თასს, ბრიტანული ეტაპის ორგანიზატორებს ვთხოვ, ასლი დამიმზადონ“ — განუცხადა რუბენსმა აეროპორტში შეკრებილ ჟურნალისტებს.

უცნაური კია, მაგრამ მომხდარი ამბის მეორე ვერსიაც არსებობს. აქაოდა, ლონდონის აეროპორტში რეგისტრაციისას ვიღაცამ თასს შემთხვევით ხელი წაჰკრა, ისიც იატაკზე დავარდა და გატყდაო.

რას გაიგებ. მთავარი ისაა, რომ ბარიკელომ 11-წლიან კარიერაში პირველად მოგებული ბრიტანული პრიზი სახლამდე ვერ მიიტანა.


REUTERS ბარსელონიდან

ბარსელონაში წყალოსნობის მსოფლიო ჩემპიონატი გრძელდება და ასე წყალქვეშვე ზეიმობს გამარჯვებას ამერიკის წყალბურთელ ვაჟთა ნაკრები, რომელიც წამიც და ზედაპირზეც გამოჩნდება. ეს ტერფი კი სწორედ ნახტომის წამს უკვდავყუყვიათ „როიტერის" რეპორტიორებს. კანადელ ემილი ჰეიმანს სამმეტრიანი დაფიდან უნდა გაფრინდეს.

წყალში და წყლისკენ

REUTERS ბარსელონიდან

ამბები საჯინიბოებში

REUTERS ნორთჰემპტონიდან

ამ უქმეებზე სილვერსტოუნის ტრასაზე ბრიტანეთის დიდი საფორმულე პრიზი გათამაშდა. როგორც წესია, საჯინიბოებში მრავლად ტრიალებდნენ ცნობილი ადამიანები და სულ ნაირგვარი ლამაზმანები: „ჯორდანის" გუნდის ბოსი ედი ჯორდანი ბრიტსავე მოდელ ჯოდი მარშთან ერთად მიმდგარა კუთხეში და ორივენი ცდილობენ თავიანთი სექსუალურობის თუ მაჩო-ბიჭობის ჩვენებას. ედი თითით, ჯოდი ტუჩებით. „იაგუარის" თავლაში კი არნოლ შვარცენეგერი და კრისტინა ლოკერი მისულან და პილოტ მარკ ვებერის ბოლიდს ათვალიერებენ. არნი და კრისტინა ბრიტანეთში თავიანთი ახალი ფილმის „ტერმინატორ-3-ის" პრემიერისთვის ემზადებიან. ეს პრემიერა ლონდონის „ოდეონის" დარბაზში უნდა გაიმართოს და რა გასაკვირია, რომ ბოლიდს ტერმინატორის იერი ამშვენებს.

ჯორდანი ყვანჯით

მაიკლ ჯორდანი ვარჯიშობს. ნევადაში, ტაჰოს ტბის პირად დაიწყო მოყვარულთა დიდი საგოლფე ტურნირი, რომელშიაც ამერიკის ნაირგვარი ვარსკვლავები მონაწილეობენ. პირველი პრიზი ასი ათასი დოლარია და რატომაც არ ივარჯიშებენ?

REUTERS ლეიკ ტაჰოიდან



REUTERS ნორთჰემპტონიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულიაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კახა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, ჰალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge